პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— მუდანიაში ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციას მოკავშირეებისა და ანგორის წარმომადგენლებმა.

— ფაშისტებმა თავის მოქმედება გადაიტანეს საფრანგეთშიაც, სადაც აწყობენ ორგანიზაციებს „მოქალაქეთა კავშირის სახელწოდებით.“

— ანდრიანოპოლში მყოფ საბერძნეთის ჯარებში აჯანყებამ იფეთქა.

— 16 ოქტომბერს გაიხსნება რუსეთ—ჩინეთის კონფერენცია.

№ 2 6 შაბათი, 14 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 236

კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ

იქნება გამორკვეული სტაჟი იმ არალეგალურად მომუშავე ამხანაგებისა, რომლებიც ირიცხებოდენ რ. ს. დ. პ. (ბოლ.) 1917 წლამდე, რის გამო ევალება ყველა ასეთ ამხანაგებს გატარდენ რეგისტრაციაში ც. კ. საღრიცხვო განყოფილებაში და წარადგინონ საბუთები მათი პარტიაში შესვლის დროის შესახებ.

რეგისტრაცია სწარმოებს 9—3 და 6—8 საათამდე ყოველ დღე.

ც. კ. საღრიცხვო სტატისტიკის განყოფილების
(3—2) გამგე ა. ლეცინოვი.

ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ

რუსეთში ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ერთ საზოგადოებრივ სნეულებას, რომელმაც ეპიდემიური, ფართე ხასიათი მიიღო. ჩვენ ვლაპარაკობთ მექრთამეობაზე.

მექრთამეობა ძველის ძველი ამბავია. მას ასაზრდოებდა მეფის ბიუროკრატიული რეჟიმი და საერთო უკულტურობა. მაშინ ფული, ქრთამი იყო ყველაფრის შემძლე. ქრთამით გაქნილი, „საქმის“ ხალხი იოლად აჩახრაკებდა თავის საქმეს, სახელმწიფოს და მშრომელთა საზიანოდ, რასაკვირველია. ფულით იყიდდით ადმინისტრაციას, სასამართლოს და სხ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთ მოვლენას, თავისთავად ცხადია, არ უნდა ექნეს ადგილი. საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე უნდა სარგებლობდეს მისთვის კანონით მიკუთვნილი უფლებებით და მოქმედების შესაძლებლობით, ყოველი მოქალაქისათვის სავალდებულო უნდა იყოს ცხოვრების ამა თუ იმ დარგში არსებული წესები.

არსებითად კანონებზე გვერდის ავლა, ქრთამის საშუალებით შეღავათების მოპოვება, არ უნდა იყოს შესაძლებელი.

ეს ყველაფერი საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში მექრთამეობამ ფართე ხასიათი მიიღო. მრავალ დარგში იჩინა მან თავი, კერძოთ კი რკინის გზაზე. ძნელი გახდა უბრალო მგზავრის მიერ ჩვეულებრივი წესით ბილეთის აღება ან ტვირთის გაგზავნა. საჭირო ხდება „ზედმეტის“ გაღება, თუ მგზავრს აქვს ფული და „უნარიც“ შესწევს.

ეს გარემოება ართულებს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას, რაც საერთოდ ცუდად მოქმედებს რესპუბლიკის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე; ეს გარემოება იწვევს უკმაყოფილებას ფართე მასებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ გვარად, მექრთამეობა არა მარტო სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებაა, თავისთავად არა მარტო რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრების დამშლელი, არამედ აშკარა კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებაც.

ამიტომაცაა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დამკვრელ ამოცანად დაისახა სასტიკი ბრძოლა მექრთამეობასთან. იქმნება საგანგებო საკონტროლო ორგანოები ამ სენთან საბრძოლველად; მექრთამეობის საქმე იხილება სასამართლოებში რიგ გარეშე, მექრთამეობის წინააღმდეგ იღებენ განსაკუთრებულ რეპრესიულ ზომებს და სხ.

ასეთი ზომები უეჭველად საჭიროა, მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება ამ ბოროტების აღმოფხვრა.

უნდა შევეცადოთ მოვსპოთ ის ობიექტიური პირობები, რომელიც ასაზრდოებს ამ სოციალურ სენს. მექრთამეობის ერთი მთავარი მიზეზია ჩვენი ცხოვრების საერთო მოუწყობლობა. მაგალითად, თუ რკინის გზაზე მექრთამეობა გავრცელებულია, ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენი რკინის გზა ჯერ კიდევ ვერ მუშაობს რიგიანად, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ასეა ცხოვრების მრავალ სხვა დარგშიც.

ამიტომ ცხოვრების საერთო გაჯანსაღება, მეურნეობის აღორძინება, ტრანსპორტის აღდგენა და სხ.—აი მთავარი საშუალება მექრთამეობის შესასუსტებლად და შემდეგ სულ აღმოსაფხვრელად. საბჭოთა ხელისუფლების მთელი ენერგიაც აქეთკენაა მიმართული.

ამასთან უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს მექრთამეობის გავრცელებას. ესაა მუშა მოსამსახურეთა ნივთიერი დაუკმაყოფილებლობა. მათში ბევრია ისეთი, რომელნიც, ასეთი უზნეო საქციელს, როგორიცაა ქრთამის აღება, მიმართავენ იძულებით, გაჭირვების ზეგავლენით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა პასუხისმგებლობას ვერ ხსნის მათ დანაშაულობისათვის, მაგრამ მაინც იმას მოწმობს, რომ, რათა ბრძოლა მექრთამეობასთან სასურველი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. მაშინ უფლება გვექნება მათ მეტი მოვთხოვოთ

ამასთან უნდა ითქვას, რომ ეხლაც ურევია მუშა-მოსამსახურეებში ისეთი ელემენტები, რომელთაც ნიკოლოზის დროის მავნე ჩვეულებანი ვერ დაუძლევიათ და სამსახურს უყურებენ, როგორც თავის გამდიდრების წყაროს.

საჭიროა ამ მხრივ გადაწმენდა მუშა-მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის და გაძევება ულირსი ელემენტების, რომელნიც არცხვენენ მუშათა კლასს და სახელს უტეხენ საბჭოთა რეჟიმს.

მექრთამეობა ეს მტკივნეული ადგილია, მუწუკია ჩვენი ცხოვრების. მას კვებავს შავბნელი წარსულის ნაშთი, ჩვენი უკულტურობა, სამეურნეო ცხოვრების დანგრევა, ეკონომიური კრიზისი, მუშა-მოსამსახურეთა გაჭირვებული მდგომარეობა. მისი მოსპობა ადვილი საქმე არ არის. ჩვენ გვმართებს მასთან ბრძოლა როგორც რეპრესიული ზომებით, ისე განუწყვეტელი მუშაობით ჩვენი ცხოვრების აღორძინებლად, მუშა-მოსამსახურეების მატერიალურად დასაკმაყოფილებლად.

კერძოდ ჩვენში მექრთამეობის საკითხი არ დგას ისეთი სიმწვავით, როგორც რუსეთში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში მას ადგილი არ ჰქონდეს. ვისაც უმოგზაურნია ჩვენი რკინის გზით, ან ვისაც, ვსთქვათ, საბინაო საკითხი ჰქონია მოსაგვარებელი, მან კარგად იცის, რომ მექრთამეობა ფართედაა გავრცელებული ჩვენშიც

ამიტომ ბრძოლა მექრთამეობასთან ჩვენში უნდა გამოვაცხადოთ ერთ მორიგ საჭირბოროტო საქმედ.

საქართველოს წყლის მეურნეობის ადგილობრივი ბიუჯეტზე გადაყვანა

(დასასრული იხ. კომ. № 235.)

თელავის მაზრაში სარწყავი მიწები არის 2853 დესიატინა, წყლის გადასახადი ნაანგარიშევია 1.495.000.000 მანეთი, გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია 649 000.000 მანეთის, ნაშთი 846.000.000 მან. გადაიდება სათადარიგო მელიორაციულ ფონდისათვის.

თიონეთის მაზრაში, სადაც ირწყვება სულ 538 დესიატინა წყლის გადასახადი ნაანგარიშევია 244.000.000 მან., ხარჯის 116 000.000 მან. და სათადარიგო ფონდისათვის გადადებულია 128,000,000 მან.

ახალქალაქის მაზრაში ირწყვება 1.000 დესიატინა. წყლის გადასახადის რაოდენობა—200 მილ. მან., ხარჯი—120 მილ. მან., სათადარიგო ფონდისათვის გადადებულია 80.000.000. მან

ბორჩალოს მაზრაში ირწყვება 25.7000 დესიატინა. წყლის გადასახადს უნდა მიეცა 5.380,000,000 მანეთი, მაგრამ მთელი რიგი ადგილობრივ მიზეზების გამო, რომელიც მძიმედ აწვება სოფლის მეურნეობას სამაზრო აღმასკომი შესაძლებლად სთვლის მხოლოდ 1 მილიარდი მანეთის შეკრებას. სახარჯოთ ნაანგარიშევია 614 მილ. მან., სათადარიგო მელიორაციულ ფონდისათვის 386 მილ. მანეთი.

სათადარიგო ფონდის დანიშნულებაა—წყლის გადასახადისაგან ყოველწლიურ გადარიცხვის საშუალებით კაპიტალის შექმნა, რომელიც უნდა მოხმარდეს არსებულ სისტემათა კაპიტალურ შეკეთებას და ამას გარდა რესპუბლიკაში მელიორაციის განვითარებას. განზრახულია, რომ ცალკე აღმასკომები, როგორც სამაზრო, ისე სათემო, შეიძლებენ ამ ფონდიდან გრძელ-ვადიან მელიორაციულ სესხს მიიღებას ცალ ცალკე მელიორაციულ სამუშაოს საწარმოებლად სახელმწიფო ორგანოების კონტროლით. ამრიგად სათესი მიწების სივრცის შემდეგი გადიდება, რომელიც შესაძლებელია საქართველოში უმთავრესად ახალ-ახალ ადგილების მორწყვის და გაშრობის საშუალებით, მიიღებს მტკიცე ფინანსიურ ნიადაგს. პირველად მელიორაციულ ფონდის საშუალებანი უნდა მოხმარდეს მთელი რიგ იმ მუშაობის დამთავრებას, რომელიც დაწყებულია სახ. მეურნეობის საბჭოს გიდროშენის მიერ, რომლის უმეტესი ნაწილი უკვე დამთავრებულია, მაგრამ არა აქვთ სახარჯოთ განსაზღვრული ფინანსიური წყაროები.

ოთხი მაზრა იძლევა თავისი ხარჯთ აღრიცხვიდან სათადარიგო ფონდისათვის თითქმის 1 ნახევარ მილიარდ მანეთს, და საქართველოს წყლის მეურნეობის ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანის შემდეგ კი მთელ მაზრებში მელიორაციულ ფონდის რაოდენობა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გადიდდება.

ჯერ ჯერობით ბალანსი მხოლოდ ქაღალდზეა, აუცილებელია მისი საქმით განხორციელება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამაზრო აღმასკომის და ადგილობრივად ამ ჟამად დაარსებული წყლის ადმინისტრაციის ენერგიული მუშაობით ადვილად მოხერხდება ამ ახალი საქმის მოგვარება. ჩვენი იმედი დამყარებულია პირველად ყოვლისა იმ აღფრთოვანებაზე, რომლითაც საქართველოს გლეხ კაცობა გიდროშენის ხელმძღვანელობით შეუდგა ახალი სარწყავი არხების გაყვანას. როგორც ჩანს მორწყვის აუცილებლობის და სარგებლობის შეგნებით უკვე გაიმსჭვალა გლეხების მასა და ამ საქმისათვის ის კიდეც გამონახავს საჭირო საშუალებას. დაბოლოს ჩვენ უკვე გვაქვს იმის მაგალითი თუ როგორ ეკიდება წყლის მეურნეობას მოსახლეობა. საქართველოს ყველაზე დიდი სარწყავის სისტემა—ყარაიაზში უკვე პირველი მაისიდან გადაყვანილია ადგილობრივ ბიუჯეტზე. სისტემის მოვლა-შენახვა და წყლის განაწილება გადაეცა იმათ, ვინც წყლით სარგებლობს, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ დანიშნულ სისტემის გამგის საერთო მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის ქვეშ.

ეს პირველი ცდა წარმატებით დამთავრდა. მოსახლეობა ორგანიზაციულად მოეწყო, ამოირჩია დელეგატების საგანგებო კრება წყლის საქმის მართვა-გამგეობისათვის, შემოიღო წყლით სარგებლობის განაწილების ნორმები და რიგები. პირველსავე თვეში მოახდინეს სარწყავ მიწების გაზომვა და შეუდგენ წყლით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადის აკრეფას. განზრახულია სულ 10,000 ფ. ხორბალის აკრეფა, რაც იძლევა ყველა მიმდინარე ხარჯების დაფარვის და ერთგვარ სათადარიგო ფონდის შექმნის საშუალებას.

მორწყვის საზაფხულო პერიოდი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა ამ ხნის განმავლობაში ხსენებულ საგანზე გასცა სულ მოკლე ვადიანი სესხი შემოდგომამდე 13 მილ. მანეთი, იმ დროს როდესაც ყარაიაზს წინა წლეებში სჭირდებოდა სახელმწიფო წყაროებიდან მეტი ასიგნობა. ამრიგად წყლის საქმეში, რომელიც მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს სახ. მეურნეობაში, განსაზღვრულად გამომუშავებულია და ტარდება ცხოვრებაში სამეურნეო ანგარიში და საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების წესიერი განსაზღვრა.

ა. ესხუნი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

— **უმუშევრობის გამწვავება ინგლისში.** „ობსერვერის“ სტატიაში ინგლისის შრომის მინისტრი გაფრთხილებას იძლევა, რომ მომავალი ზამთარი მეტად მძიმე იქნება სახელმწიფოსათვის. „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, სწერს ის, რომ ეს უკვე მესამე კრიტიკული ზამთარია, და ამიტომაც ის აუცილებლად იქნება გაცილებით უფრო მძიმე“.

ამის გამო „დეილი გერალდი“ მიუთითებს, რომ ეს „აუცილებლობა“ არსებითად აიხსნება მთავრობის გადაწყვეტილებით არ მიიღოს არავითარი სერიოზული ზომები დამშეულთა სასარგებლოდ. უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლ მთავრობის საგანგებო კომისიამ, რომელიც შესდგა ერთი თვის წინად, შეიმუშავა სქემა, რომლის თანახმად სამუშაოს მიიღებს მხოლოდ 100.000 კაცი, მაშინ როდესაც უმუშევართა საერთო რიცხვი, ოფიციალურ ცნობის თანახმად, აღწევს 1.328.000 კაცს.

უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილის მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკული შეიქმნა 13 სექტემბერს, როდესაც მათთვის დაიწყო პერიოდი რომლის განმავლობაში ისინი—ინგლისის კანონის განსაკუთრებული ხასიათის გამო—მთავრობისაგან არავითარ დახმარებას არ მიიღებენ.

— **ამერიკის კლასიურ იუსტიციის პრაქტიკიდან.** დიდი ხანი არაა, რაც იუწყებოდენ იმ ახალ გამოაშკარავების შესახებ, რომელიც ნათელ ჰყოფს მუშათა მოღვაწეების მუნი და ბილინგსის პროვოკაციულ პროცესს, რომელთაც გადაწყვეტილი ქონდათ ომის დროს გრძელ ვადიანი დაპატიმრება. ერთ ვექილბატონთაგანი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ პროცესის ინსცენიროვკაში, გამოტყდა, რომ მან მიიღო ათასი დოლარი, რათა ხელი შეეწყოს ნაფიც მსაჯულთა ხელოვნურად შერჩევისათვის.

ანალოგიური გამოაშკარავება მოხდა ამ ჟამად შეერთებულ შტატებში იტალიის მუშათა კოლონიის მოღვაწე საკოს და ვანცეტის ცნობილ საქმეში. როგორც ვიცით, მათ ბრალს სდებდენ გაძარცვის მიზნით შოფერის მოკვლაში და სასამართლომ გადაწყვიტა მათი სიკვდილით დასჯა. მაგრამ დიდი მოძრაობის გამო, რომელიც დაიწყო ყველა ქვეყნებში პროცესის გადასინჯვის მიზნით, განაჩენი არ მოყვანილა სისრულეში. მაგრამ ამერიკის დემოკრატიის კლასიურ იუსტიციას ეს უდანაშაულო ხალხი ჯერ კიდევ მაინც ციხეში ჰყავს გამომწყვდეული. საკოს და ვანცეტის ბრალდების მთავარი მოწმე იყო ვინმე ენდრიუსი, რომელმაც განაცხადა, რომ მან დაინახა როგორ გარბოდა საკო ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილიდან. შემდეგ კი ის გამოტყდა, რომ ეს ჩვენება ყალბია; ის იძულებული იყო მიეცა ეს ჩვენება პროკურორის და პოლიციის ზეგავლენით. ამ გამოაშკარავებასთან დაკავშირებით საკოს და ვანცეტის დამცველებმა შეიტანეს ახალი პეტიცია.

— **ინგლისის წითელ პროფკავშირების ყრილობა.** უკეთებს რა ჯამს ინგლისის წითელ პროფკავშირების ყრილობას, რომელიც შესდგა 16 სექტემბერს ლონდონში, ინგლისის „კომუნისტი“ გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას ამ მოძრაობის წარმატების გამო.

ყრილობას დაესწრო 300 მდე დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდნენ 176 მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციას. თავმჯდომარემ ამხ. ტომსონმა, დოკის მუშების სახელით, განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში, რომ უსარგებლოა წუხილი „შავს პარასკევზე“ (დღე, როდესაც ჩაიშალა „სამრეწველო კავშირის“ მიერ განზრახული გაფიცვა, მემაღაროების უკანასკნელ გაფიცვის დროს), საჭიროა ხელი მოვკიდოთ ინგლისის პროფმოძრაობის რეორგანიზაციის საქმეს.

საინტერესო საკითხს შეეხო ამხ. პოლლიტე. მან მიუთითა იმ ფაქტზე, რომ პროფკავშირებიდან 1 250.000 მუშის გასვლა, რომელიც მოხდა უკანასკნელის წინა და უკანასკნელ კონგრესის შორის გასულ პერიოდის განმავლობაში, უნდა ჩაითვალოს მთელი პროფმოძრაობის ავადმყოფობის სიმპტომად. მიუხედავად მიღებულ ღონისძიებათა ინგლისის პროფმოძრაობის, ცენტრალიზაცია არავითარი გზით არ ხერხდება. ამაში პასუხისმგებელი არიან მუშათა პარტიის პარლამენტარიები, რომელთაც აშინებთ ბრძოლის სიმძიმის ცენტრის მუშათა პარტიის აღმასკომიდან პროფკავშირებში გადატანა. ასეთივე აზრი გამოსთქვა ამხ. მორფიმ, რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირების გენერალურ საბჭოს უნდა ქონდეს უფრო ფართე რწმუნებანი, რომელიც მას მისცემდა მოძრაობის ხელმძღვანელობის ნამდვილ საშუალებას.

მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელიც მოითხოვდა გაერთიანებულ ფრონტს, პროფკავშირების ორგანიზაციის წარმოების ხაზის მიხედვით, და აგრეთვე რეზოლიუციები სამუშაო ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის განგრძობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. დელეგატათ პროფკავშირების კონგრესზე მოსკოვში არჩეულ იქნა ამხ. სმიტი.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-4 სესია

(მეოთხე სხდომა*)

სისხლის სამართლის კოდექსი, პროკურატურა და ადვოკატურა.

ს. ქავთარაძე. ამხანაგებო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დღევანდელმა სესიამ უნდა მიიღოს სამი დიდათ მნიშვნელოვანი პროექტი დასამტკიცებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. პირველი არის პროექტი სისხლის სამართლის შესახებ, პროექტი სისხლის სამართლის კოდექსისა, მეორე არის პროექტი პროკურატურის შესახებ, მესამე ადვოკატურის ე. ი. დამცველობის შესახებ. ეს სამი დადგენილება უნდა გამოიტანოს ჩვენმა დღევანდელმა აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ, ისე, როგორც გამოტანილი იყო რუსეთში ამას წინეთ. ყველა ეს ნაბიჯები გამოწვეულია დღევანდელ ცხოვრების ვითარებით, ახალ პირობებით, განსაკუთრებით კი ახალ ეკონომიურ პოლიტიკით. ოთხი წლის სამოქალაქო ომის პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე სწორი ნორმალური კანონმდებლობის დამუშავება. ამ პირობებში მყოფ საზოგადოებრივ ძალებს არ შეეძლო დამორჩილებოდა ერთგვარ სისტემატიურად დამუშავებულ და დაკანონებულ ნორმებს, იმიტომ, რომ სამოქალაქო ომი არის ისეთი მოვლენა, რომელიც თავის ბუნებაში ატარებს ყოველგვარ ნგრევას კანონიერი და სისტემატიური ნორმებისა. მაგრამ სამოქალაქო ომი ოთხი წლის შემდეგ გათავდა, და დაიწყო ახალი ისტორიული პერიოდი როგორც რუსეთში, ისე რუსეთთან თანხლებულ საბჭოთა რესპუბლიკებში. აქ დადგა საკითხი იმნაირად, რომ მშვიდობიან ცხოვრების მოსაწესრიგებლად აუცილებლად საჭირო შეიქნა კანონმდებლობით ნორმების შემუშავება და მათი მიხედვით და ძალით წამართვა ცხოვრებისა. და სწორეთ პირველი ნაბიჯები რუსეთის რესპუბლიკისა ოთხი წლის სამოქალაქო ომის შემდეგ მიმართული იყო იქით, რომ კანონმდებლობით გზას დადგომოდა და დაემუშავებინა ის ნორმები, რომლებიც მომავალ ცხოვრებისათვის გადიქცეოდა შეურყეველ ფუძით და ხელმძღვანელ კანონად, ეს სამძიმო, ძნელი და რთული საქმე იყო საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებელთა წინაშე იდგა სერიოზული საკითხი. მათ უნდა წაეშალათ ძველი კანონმდებლობა, კოდექსები, ყველა ის რაც ბურჟუაზიამ და წარსულ წესწყობილებამ გამოიმუშავა, უნდა წაეშალათ დიდძალი ნამუშევარი ბურჟუაზიულ მეცნიერებისა, და შეექმნათ ახალი კანონმდებლობითი მეცნიერება და ნორმები, ახალ ნიადაგზე დაყრდნობილნი, ახალ აზრებით და მისწრაფებებით გამსჭვალულნი. ეს იყო შრომა, რომელიც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ის აუცილებელი იყო და ამიტომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობის მცოდნენი ჩვენი ამხანაგები, და ჩვენთან დაახლოვებული სპეცები შეუდგენ ამ ნორმების და დებულებების შემუშავებას. და ჩვენ ვიცით, რომ ამ გზით რამდენიმე სწორი და დიდათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმული. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიქვათ, რომ ის რაც ჯერ-ჯერობით დამუშავებულია, იყოს უნაკლო და სავსე, რადგანაც ეს არის ცდა, პირველი ნაბიჯი, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა განვითარდეს და ბევრგვარი ახალი შესწორება უნდა იყოს შეტანილი. მაგრამ ის რაც გაკეთდა, და რასაც ვაკეთებთ არის ძირითადი აუცილებლობა, ურომლისოდაც ჩვენ დღევანდელი ცხოვრების ხელმძღვანელობა არ შეგვიძლიან. როგორც რევოლიუციაში და ომში, ისე მშვიდობიან ცხოვრებაში ჩვენ მივდევთ რუსეთის დიდ სოციალისტურ რესპუბლიკას, არ გვინდა მას ჩამოვრჩეთ, და ამ გზაზედაც—საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობის გზაზე—გადავდგით შესაფერისი ნაბიჯი, რაც დღეს უნდა წარმოვიდგინოთ განსახილველად და დასამტკიცებლად. მიუხედავათ იმისა, რომ სამოქალაქო ომი აფუჩებდა ცხოვრებას ძირიან-ბუდიანათ და ქმნიდა პირობებს, რომლებშიაც ყოვლად შეუძლებელი იყო კანონმდებლობითი ნორმების შექმნა, მიუხედავათ ამისა მაინც, ამ სამოქალაქო ომის პროცესშიაც შეიქმნა ბევრგვარი კანონმდებლობითი ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდენ სამსჯავროები რუსეთში. ეს შეეხებოდა ოჯახობის, ქორწინების და სხვა ამ გვარ საკითხებს. მაგრამ ეს საკანონმდებლო ნორმები დამუშავებული სამოქალაქო ომის დროს, არ ეხებოდა ისეთ საკითხს, როგორიც არის მაგალითად საკითხი პიროვნების დაცვის შესახებ. და მართლაც რომ გადავათვალიეროთ ეს ოთხი წლის სამოქალაქო ომის დროს შექმნილი ნორმები, ვერ ვნახავთ კანონს, რომელიც იცავს პიროვნებას, როგორც ასეთს. ვნახავთ ნორმებს ოჯახობის, ქორწინების შესახებ, მაგრამ ნორმებს, რომლებიც იცავენ პიროვნებას, როგორც ასეთს, ვერ ვხედავთ. და ეს ადვილათ ასახსნელია: სამოქალაქო ომი არის კლასობრივი ომი; ერთი კლასი ებრძვის მეორეს და როცა მუშათა კლას ესხმება თავს მეორე კლასი და მახვილს სცემს გულში, როცა მთელი კლასი ამის გამო განსაცდელში არის ჩავარდნილი და როცა მის წინაშე სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი დგას—ამ პირობებში პიროვნების დაცვა და მისი ინტერესების კანონიერ სამოსელში გახვევა ყოვლად შეუძლებელია. ამით აიხსნება ის რომ, ბევრი ცდა იყო კანონმდებლობითი დარგში, მაგრამ პიროვნების დაცვის სფეროში არაფერი გაკეთებულა. ეს პიროვნება იყო ობიექტი და სუბიექტი სამოქალაქო ომისა.

დღეს როცა სამოქალაქო ომი გათავდა და უკვე დადგა დრო პიროვნების ინტერესის დაცვისა და ჩვეულებრივი ნორმების შემუშავებისა, უმთავრესი ნაბიჯის გადადგმა არის კოდექსის შემუშავება. აი სწორედ ეს კოდექსი მინდა დღეს თქვენ წარმოგიდგინოთ დასამტკიცებლად რომელსაც ქვიან სისხლის სამართლის დანაშაულის კოდექსი. ამას თან ახლავს იმ ინსტიტუტის დაწესება რომელზედაც მე მოგახსენებთ. პროკურატურის, ე. ი. პროექტი მბრალდებულობის ორგანიზაციის შექმნა; თუ კანონიერ ნიადაგზე ვდგებით, თუ ჩვენ აწინდელ ცხოვრებას ვაწარმოებთ კანონდებლობითი ნორმების მიხედვით აუცილებლად საჭიროა კონტროლი, ზედამხედველობა, რომ ეს კანონის ნორმები სწორედ იქნეს აღსრულებული. აუცილებელი საჭიროა არის რომ შეიქმნეს ისეთი ორგანო, ისეთი დაწესებულება რომლის მოვალეობა იქნება რომ თვალყური ადევნოს კანონის სწორეთ და ჯეროვანათ შესრულებას. ამ ორგანიზაციამ თვალყური უნდა ადევნოს კანონების უმწიკვლოდ შესრულებას. ეს ორგანიზაცია არის პროკურატურა, თუ ჩვენ ამას დაუშვებთ და ვსტყვით რომ ეს საჭიროა და აუცილებელი არის, ჩვენ მესამე ნაბიჯიც უნდა გადავდგათ და ვსთქვათ რომ დამცველების ორგანიზაციაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ეს არის მშვიდობიანი ცხოვრების კანონი. სამოქალაქო ომის დროს თქვენ თუ პროკურატურაზე და დამცველების ორგანიზაციაზე იზრუნეთ, ეს თქვენ უეჭველად დაგამარცხებთ.

აი ამიტომ სამოქალაქო ომის დროს არც ერთს და არც მეორეს არა აქვს ადგილი, ვინაიდან დამცველების ორგანიზაცია და მბრალდებელთა ორგანიზაცია და საერთოთ ნორმალური კანონმდებლობა ეს არის მშვიდობიანი ცხოვრების ატრიბუტები და არა საომარი ხანის და სამოქალაქო ომის. მშვიდობიანი ცხოვრების და აღმშენებლობის ხანაში კი აუცილებლად საჭიროდ უნდა ჩაითვალოს დამცველების ორგანიზაცია, რომ ბრალდებულს თუ მას თვითონ არ შეუძლია, დაიცვას თავის თავი იმ ბრალდებისაგან, რომელსაც მას უყენებს სახელმწიფო ან კერძო პიროვნება. მიეცეს ყოველნაირი საშუალება, დაამტკიცოს თავი სიმართლე; დამცველთა ორგანიზაცია დღეს თვით ცხოვრების კარნახი არის. ამნაირავე მაგალითად ნოტარიატის დაწესება, ვაჭრობა მრეწველობა და ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლათ ხელშეკრულება და გარიგება უდევს იწვევს იმას რომ ეს ხელშეკრულება და გარიგება (დოგოვორი) აუცილებლად იყოს დამტკიცებული, მოხდეს მისი რეგისტრაცია, მიეცეს მას თითქმის კანონის ხასიათი. აი ამ ფუნქციისათვის აუცილებლად საჭირო არის ნოტარიატი, რომელიც ამ ახლო წარსულში შემოღებულ იქმნა. როგორც უკვე მოგახსენეთ ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით რომ სამოქალაქო ომი გათავდა, ჩვენ ვართ მშვიდობიანი ცხოვრების ხანაში, რომელიც უნდა დაექვემდებაროს კანონმდებლობითი ნორმებს, კანონდებლობა უნდა წაუძღვეს დღევანდელ ცხოვრებას, ეს მართალია ჩვენ ცოტა დაგვიანებით მოგვიხდა, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. მე დიდიხნით არ მოგაწყენთ თავს ჩემი წინა სიტყვით, რადგან ჩემ წინ დევს ვრცელი შრომა რომელსაც სახელად ეწოდება კოდექსი სისხლის სამართლისა, რომელიც დღევანდელმა სესიამ აუცილებრივ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ჩვენ არ შეგვიძლიან აქედან გამოვუშვათ რომელიმე მუხლი ან, შენიშვნა ისე რომ საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა იგი არ ისმინოს, არ გადაშინჯოს და არ დაამტკიცოს. მაშინ მას კანონის ხასიათი აღარ ექნება და ჩვენ სამსჯავროსა და მსაჯულთათვის სახელმძღვანელოდ არ გამოდგება. ამიტომ ეს, შეიძლება, დიდხანს მოითხოვს, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა გადავიკითხოთ და ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა იგი უნდა მოისმინოს. ეს კოდექსი განიყოფება ამნაირად: შესდგება იგი ორი ნაწილისაგან, **პირველი ნაწილს ეწოდება ზოგადი ნაწილი**, ეს არის მცირე ნაწილი და შეიცავს მხოლოდ 57 მუხლს, მეორე ნაწილი უფრო ვრცელია და სათაურად აქვს **განსაკუთრებული ნაწილი** რომელიც შეიცავს თითქმის 200 მუხლს.

მომხსენებელი კითხულობს კოდექსის პროექტს; დაწვრილებით ჩერდება ზოგიერთ მუხლებზე, აშუქებს მათ შინაარს და იძლევა სათანადო ახსნა-განმარტებას. ამ წესით წაკითხულ იქნა პროექტის 65 მუხლი, ე. ი. პირველი—ზოგადი—ნაწილი მთლიანად და მეორე—განსაკუთრებული ნაწილის 8 მუხლი. მე 66 მუხლის წაკითხვისას თავმჯდომარეს შემოაქვს შემდეგი წინადადება პროექტის განხილვის წესის შესახებ: „წაკითხულ იქნეს მთელი პროექტი მომხსენებლის კომენტარიებით და მოხდეს მეორე კითხვა, რომლის დროსაც სესია განიხილავს თვითეულ მუხლს ცალკე და დაამტკიცებს პროექტს საბოლოოდ. წინადადებამ გამოიწვია ვრცელი კამათი. რის შემდეგაც სესიამ დაადგინა: პროექტის განხილვა დამთავრდეს პირველი კითხვით; მომხსენებელმა განაგრძოს კითხვას საჭირო კომენტარებით; თვითეული მუხლის შესახებ დელეგატებს შეუძლიათ მისცენ შეკითხვა მომხსენებელს; სადაო მუხლების შესახებ, თუ ასეთები იქნება, გაიმართოს მსჯელობა კითხვის დასრულების შემდეგ, რაც შეეხება უკვე წაკითხულ მუხლებს, მათ შორის პირველი 57 მუხლი, ე. ი. ზოგადი ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს არავითარ შესწორებას ჩაითვალოს მიღებულად, ხოლო დანარჩენი 8 მუხლი 65 დე წაკითხულ იქნეს ხელმეორედ კითხვის დასრულების შემდეგ“. მომხსენებელი განაგრძობს კითხვას; თითქმის ყოველი მუხლის შესახებ არის მრავალი შეკითხვა დელეგატების მხრით. ამ სხდომაზე წაკითხულ იქნა 100 მუხლი. მე 5 სხდომაზე ოქტომბრის 7-ს გრძელდება პროექტის კითხვა; დელეგატები დიდი ყურადღებით და ინტერესით ისმენენ თვითეულ მუხლს, აძლევენ შეკითხვებს მომხსენებელს და სწარმოებს ცოცხალი აზრთა გაცვლა გამოცვლა. კითხვის დასრულებისას, მიღებულ დადგენილების თანახმად მომხსენებელი ხელმეორედ კითხულობს მუხლებს—58 დან—65 დე, რის შემდეგაც იწყება მსჯელობა სადაო მუხლების შესახებ, თვითეული ასეთი მუხლი იწვევს ვრცელსა და ცხოველ კამათს, რომელშიაც მონაწილეობას იღებს დელეგატთა დიდი უმრავლესობა. ყველა მუხლს სესია იღებს წარმოდგენილი კანონ პროექტის რედაქციით, გარდა ერთისა ეს არის 144 მუხ. კამათი იმდენათ გაგრძელდა, რომ ამ სხდომაზე, მიუხედავათ იმისა, რომ იგი დაგვიანებით დაიხურა, სესიამ ვერ მოასწრო ყველა სადაო კითხვების განხილვა.

მე 6 სხდომაზე გრძელდება აღნიშნული მუხლების განხილვა; სესია ყველა მუხლებს იღებს უცვლელად წარმოდგენილი რედაქციით. მთელი პროექტის განხილვის შემდეგ, ამხ. თუმანოვი სესიის მიერ არჩეული იურიდიული კომისიის სახელით აცხადებს, რომ კომისიამ განიხილა კოდექსის პროექტი, საფუძვლად მიიღო იგი და ამასთანავე უერთდება იმ შესწორე-

---

*) იხილე „კომუნისტი“ № 235

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზას რომელიც სესიამ შეიტანა 144 მუხლში. *) თავმჯდომარე კენჭს უყრის პროექტს მთლიანად; პროექტი მიღებულ იქნა ერთხმად. მომხსენებელი აცხადებს, რომ სესიამ აგრეთვე უნდა განსაზღვროს კოდექსის გამოცხადების ვადა; მომხსენებელი წინადადებას იძლევა ასეთ ვადათ დაინიშნოს ა. წ. ნოემბრის 15-ი. აზრთა მცირე გაცვლა გამოცვლის შემდეგ სესია იღებს მომხსენებლის წინადადებას.

სხდომა გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე პროკურატურის დებულების შესახებ და ისმენს ს. ქავთარაძის მოკლე მოხსენებას. მომხსენებელი კითხულობს დებულების პროექტს. განხილვის წესი რჩება იგივე, რაც სისხლის სამართლის კოდექსისათვის. არის ზოგიერთი შეკითხვები, მე-11 მუხლი იწვევს ვრცელ კამათს. ვინაიდან მომხსენებელს საჩქაროდ იწვევენ პირდაპირ მავთულზე მოსკოვიდან იგი მიდის და მის ადგილს სესიის დავალებით იჭერს ამხ. ბროცკი აღნიშნული მუხლის შესახებ გრძელდება კამათი, რომლის შემდეგ სხდომამ მიიღო ის მცირე შესწორებით. ამ შესწორების შემდეგ სესია ერთხმად იღებს პროექტს პროკურატურის დებულების შესახებ და ადგენს გამოქვეყნებული იქნეს იგი სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად,—ა. წ. ნოემბრის 16 ს. ამავე სხდომაზე სესია უცვლელად და ერთხმად იღებს პროექტს ადვოკატურის დებულების შესახებ. ამით თავდება სესიის მე 6 სხდომა.

---

*) ამ მუხლის მიღებული რედაქცია იქნება დაბეჭდილი ცალკე.

„ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო“

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,—საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლიუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლიუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: **ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ-პროპი ს. თალაკვაძესთან.**

რადიო-დეპეშები

საბერძნეთის ჯარები.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. ადრიანოპოლში მყოფ საბერძნეთის ჯარებში იფეთქა აჯანყებამ. ჯარის-კაცებმა გამართეს მანიფესტაცია წითელი დროშებით, ინტერნაციონალის შესრულებით.

სულთანის გადადგომის შესახებ.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო სულთან მამომეტის გადადგომა, გააუქმა ყველა ხელშეკრულებები და კანონები, რომელიც ხელმოწერილია სევრის ხელშეკრულების შემდეგ ოსმალეთის მთავრობის მიერ.

სამხედრო შეთანხმება.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. მუდანიაში ხელი მოაწერეს სამხედრო შეთანხმებაზე მოკავშირეების და ანგორის შორის.

შეთანხმების ძალით, ანგორის გადაეცემა აღმოსავლეთ ფრაკია, ადრიანოპოლით. ბერძნების მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია უნდა მოხდეს სასწრაფოდ. ძალა უფლება ეძლევა ოსმალოებს, ფრაკიის ოსმალეთისთვის გადაცემა უნდა დამთავრდეს 30 დღის განმავლობაში.

საზავო კონფერენციის შესახებ.

ქაირი. 13 ოქტ. ბულონში განზრახულია მოკავშირეთა მინისტრების კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენციის პროგრამის განსახილველად.

ინგლისის პრესტიჟი.

ქაირი. 13 ოქტ. „სტარ“-ის ცნობით ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა მიმართულია ინგლისის პრესტიჟის დაცვისაკენ, რომელიც, საბედნიეროდ, ამ ჟამად ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვინემ ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ამბები.

ინგლისის მთავრობის მადლობა.

კროიდონ. 13 ოქტ. ინგლისის მთავრობამ გადასცა ინგლისის უმაღლეს კომისარს კონსტანტინეპოლში რომბოლდს და ინგლისელ გენ. გარინგტონს მადლობა და მილოცვა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გამო.

გენ. გარინგტონის განცხადება.

კროიდონი. 12 ოქტ. გენ. გარინგტონმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის მიერ დამხმარე ჯარის გაგზავნამ მოგვცა შესაძლებლობა ოსმალეთთან დამაკმაყოფილებელ ზავის მიღწევისა.

საზავო კონფერენციის გამო.

კროიდონი. 13 ოქტ. მოკავშირე სახელმწიფოები შეთანხმდენ საზავო კონფერენციის დაუყონებლივ მოწვევის შესახებ.

საბერძნეთი და მუდანიის შეთანხმება.

ბორდო. 13 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ განუცხადა პრესას, რომ იგი მოაწერს ხელს შეთანხმებას 3 დღის შემდეგ, როდესაც დაბრუნდება საბერძნეთის დელეგაცია, იმიტომ რომ მას უნდა გაიტანოს შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ეხება ფრაკიის ევაკუაციის პირობებს.

სამშვიდობო კონფერენციის ვადის გადადება.

ანოვერი. 13 ოქტ. პარიზის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ახლო-აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციას არ შეუძლია შეიკრიბოს 1 ნოემბერზე უფრო ადრე, ვინაიდან ამ ვადისათვის შეუძლებელი იქნება ყველა საჭირო დოკუმენტების დამზადება და შეგროვება.

ბულგარეთ რუმინიის საზღვრების დახურვა.

ჰანოვერი. 13 ოქტ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბოლგარეთ-რუმინიის საზღვარი დაიხურა 14 დღის განმავლობაში ბულგარეთის მხრივ.

ფრაკიის ევაკუაციის გამო.

ჰანოვერი. 13 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ოსმალეთის ჟანდარმერიის რიცხვი ფრაკიაში იქნება 8.000 კაცი. გაზ. „ტაიმსს“ კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ, რომ ფრაკიის ევაკუაციას კონტროლს გაუწევს მოკავშირეების 7 ბატალიონი, რომლის რიცხობრივი უპირატესობა მინიჭებული აქვს საფრანგეთს.

ოსმალეთის მოქმედება.

ბორდო. 13 ოქტომბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მიუხედავად მუდანიაში მიღწეულ შეთანხმებისა, ოსმალეთის ჯარმა, 4,000 კაცის რაოდენობით, გადალახა აირანთან ახალი მოსაზღვრე ხაზი, დურიჯის ჩრდილოეთით, ის მიდის ნახევარ კუნძულზე. გენერალმა გარინგტონმა მაშინვე გაუგზავნა ამის შესახებ წერილი ოსმალეთის სარდლობას.

ბერძნების და მუდანიის შეთანხმება.

ბორდო. 13 ოქტომბერი. საბერძნეთის მთავრობამ აცნობა პრესას, რომ სამი დღის შემდეგ ის ხელს მოაწერს მუდანიაში მიღწეულ შეთანხმებას. ეხლა კი ის ელოდება თავის დელეგატებს მუდანიიდან, რათა მიიღოს მათგან დაწვრილებითი ცნობები ფრაკიის ევაკუაციის პირობების შესახებ.

საკითხი სრუტეების შესახებ.

რომი. 13 ოქტომბერი. იტალიის პრესა იხილავს მუდანიის შეთანხმების შინაარს და ამბობს, რომ საკითხი სრუტეების შესახებ კვლავ გამოურკვეველი რჩება.

სტამბოლში.

რომი. 13 ოქტ. სტამბოლში სხვა და სხვა ამბების მოლოდინის გამო, იტალიებმა გადასწყვიტეს მზად იქონიონ გალატის ნავთსადგურში ორი გემი ლტოლვილების გადმოსასხმად, აგრეთვე გააშენონ პუნქტები ლტოლვილების მისაღებად და დაიცვან ფოსტის და ბანკების დაწესებულებაში.

სულთანის გადადგომა.

რომი. 13 ოქტომბერი. უკანასკნელი ცნობებით, სულთანის გადადგომა მოხდა აღმოსავლეთის საკითხის წინასწარ გადაჭრის შემდეგ.

რომი. 13 ოქტ. საბერძნეთში მოითხოვენ პრემიერ მინისტრის გუნარისის სიკვდილით დასჯას.

ჩემბერლენის სიტყვა.

ბორდო. 13 ოქტ. ჩემბერლენი ბრინიგამში წარმოსთქვამს ვრცელ სიტყვას ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ და წარადგენს მნიშვნელოვან წინადადებას უნიონისტურ პარტიის მომავალი გეგმისა და მისი ლიბერალურ პარტიებთან კოალიციის შესახებ.

დოდეკანის საკითხი

ნაუენი. 14 ოქტომბერი იტალიის განცხადება, რომ ის წინააღმდეგია დოდეკანის საბერძნეთისათვის გადაცემისა, ლონდონში დიდი გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდან იქ ფიქრობენ, რომ ამ საკითხს გადასწყვეტდენ მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი. როგორც სჩანს იტალია აცხადებს მიიღოს ოსმალეთისაგან კუნძულებზე სუვერენულ უფლებანი, მაშინ როდესაც ეს უფლებები მიენიჭა მას მოკავშირეების მიერ.

ყოფილ მთავარ სარდლის დაპატიმრება.

ნაუენი. 13 ოქტომბერი. საბერძნეთის ყოფილ მთავარსარდალი მცირე აზიაში გადიაპატისი დააპატიმრეს ათინაში.

მუდანიის შეთანხმება

ბორდო. 13 ოქტომბ. მუდანიის შეთანხმება შეიცავს მუხლებს შემდეგ საკითხების შესახებ: საბერძნეთის ჯარების და სამოქალაქო ორგანოების ევაკუაციის პირობები; ოსმალეთის ჟანდარმერიის და ადმინისტრაციის ფრაკიაში დაბინავების პირობებს; ფრაკიაში გარდამავალ ხანაში კონტროლის უზრუნველყოფა და დაწესება იმ ხაზისა, რომელსაც უნდა გასცილდენ ბერძნები.

ეს ხაზი გაჰყვება მდ. მარცს მარცხენა ნაპირს ეგეის ზღვის და საწყისიდან იმ წერტილამდე, სადაც ფრაკია უერთდება ბოლგარიას. ოსმალეთის საოკუპაციო ჟანდარმერია შესდგება 8.000 კაცისაგან, თუ მივათვლით ოფიცრებსაც. ანტანტის 7 ბატალიონი დაიკავებს აღმოსავლეთ ფრაკიას, ხოლო ჯარების უმრავლესობას მოსალოდნელია შეადგენდენ ფრანგები ბერძნების ევაკუაცია 30 დღის გასვლის შემდეგ. ეს რაზმები დასტოვებენ ფრაკიას. ანგორის ჯარები შეჩერდებიან აზიის ნაპირზე ჩანაკის რაიონში 15 კილომეტრზე დარდანელის აზიის ნაპირიდან და 15 კილომეტრზე დასავლეთით—ბოტს-ბურნუ და კუმ-ბურნუს ხაზზე, ის მიდის ნახევარი-კუნძულზე, დაწყებული ბოსფორიდან. მოკავშირეების ჯარები დარჩებიან იმ პოზიციებზე, რომლებიც ეხლა უჭირავთ. ანგორის მთავრობა ვალდებულია არ გადაიყვანოს ჯარები და არ მოაწყოს არმია აღმოსავლეთ ფრაკიაში.

საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე. შეთანხმება შედის ძალაში იმ ხელისმოწერიდან სამი დღის შემდეგ, ხოლო სახელდობრ 15 ოქტომბრიდან.

შეთანხმების შემდეგ.

ბორდო. 13 ოქტომბ. მოკავშირეების ოფიცრების კომისია მოემგზავრება როდოსტოში გენ. ნიდერთან, ფრაკიის ევაკუაციის გეგმის გამოსამუშავებლად.

მოკავშირეების ჯარები ნაწილდებიან ამ რიგად: ფრანგები მოთავსდებიან ადრიანოპოლში, კირ-კილისში და ლიულე-ბურგასში; ინგლისელები იქნებიან—როდოსტოში და იტალიელები—ჩორლუში. თვითეული მისიი შესდგება ბატალიონის უფროსისაგან, წარმომადგენლის სახით და ორი წევრიდან—სხვა ერის ორ ოფიცრიდან.

ბერძნების დელეგაციის მიერ შეთანხმებაზე ხელის მოწერის უარის თქმის გამო, იზმედ-ფაშამ შეეკითხა მოკავშირეებს, შეუშლის თუ არა ხელს ეს უარის თქმა შეთანხმების გამოქვეყნებას? მოკავშირეების გენერლებმა უპასუხეს, რომ მიიღებენ ყოველივე ზომებს, რათა მიიღონ ათინიდან შეთანხმება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მნიშვნელობა.

მოსკოვი. 12 ოქტ. „იზვესტიის“ მოწინავეში სწერენ: „საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მნიშვნელობა ამ ჟამად დამოკიდებულია განსაკუთრებით რესპუბლიკის ეკონომიურად დამტკიცებისაგან. რუსეთის აღორძინება აშინებს მსოფლიო ბურჟუაზიას. ჩვენ ახლა მეურნეობრივი ცხოვრების გამოცოცხლების გზაზე ვდგევართ. წარმოება იზრდება. ჩვენ ვაშენებთ ელექტრონულ სადგურებს, უშობთ საბჭოთა რესპუბლიკას პირველ ავტომობილებს. მაგრამ, მეურნეობის ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგებს მუშაობის შეჩერება ეჩნევა. ნახშირის და რკინის წარმოებაში მუშაობის შეჩერება უფრო ხშირი მოვლენაა. ამ მოვლენას უნდა მიექცეს საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ყურადღება. ხარჯების და გადასახადების აკრეფის კამპანიის ღირსეულად ჩატარება და დახმარების აღმოჩენა დონის აუზისათვის და ურალისათვის—აი დღიური ამოცანები.

ზამთარი მოსკოვში.

მოსკოვი. 13 ოქტ. თანახმად სხვა და სხვა მეურნეობრივ ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ანკეტებისა, გამორკვეულია, რომ მომავალ ზამთარს დიდი განსხვავება იქნება წარსულთან. საერთო და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.

მურმანის ოლქში.

მოსკოვი. 13 ოქტ. მურმანის ოლქში ჩავიდნენ საფრანგეთის მსხვილი კაპიტალისტები, რომელთაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა მურმანის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 13 ოქტ. „ცენტროსოიუზის“ მიერ იჯარით აღებულ ქარხანაში „სან-გალი“, მუშაობა დაიწყო.

რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 12 ოქტ. „პრავდა“ მოწინავეში სწერს: რუს. ახალგაზრდობის კომკავშირის მომავალ ყრილობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. ამით იწყება მესამე ხანა ახალგაზრდობის მოძრაობის ოქტომბრის შემდეგ. პირველი ხანა იყო სამოქალაქო ომის და რევოლუციონურ რომანტიკის პერიოდი. მეორე ხანა—ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დასაწყისი ახალგაზრდობის მოძრაობის გარეშე. მესამე ახალ პირობებისადმი და ახალ კულტურულ ამოცანებისადმი შეჩვევა - შეგუება. პარტიამ კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიაპყროს რკს. ახალგ. კომკავშირს, ვინემ ეს წინად ხდებოდა. რამდენად პარტია და საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მოახმაროს მნიშვნელოვანი ძალები და საშუალებანი კულტურულ ფრონტს, იმდენად ჩვენ მოვალენი ვართ მხარი დაუჭიროთ და დავეხმაროთ აქტიურ მუშაკთა მოზარდ კადრს.

ვაჭრობა.

მოსკოვი. 12 ოქტ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“ მოწინავეში სწერს „ვაჭრობის წარმოების ორგანიზაციის საქმეში ჩვენ დიდი ნაბიჯი წავსდგით წინ. უმნიშვნელოვანესი ამოცანა—ნიჟეგოროდის ბაზრობა, ჩატარდება მოსალოდნელზე გაცილებით უკეთ. საოლქო და საგუბერნიო ეკონომიურ საბჭოებისადმი შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დაგზავნილმა ცირკულიარულმა წერილებმა უნდა მოაწესრიგოს ვაჭრობის საქმე. წერილის თანახმად საშინაო ვაჭრობისათვის საერთო თვალყურის დევნება უნდა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ საშინაო ვაჭრობის კომიტეტმა ცენტრში და ეკონომიურმა საბჭომ ადგილობრივ. ამ წერილში აღნიშნული წესი ადგილობრივ სავსებით უნდა იქნას დაცული.

სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესია.

მოსკოვი. 13 ოქტ. გაიხსნა სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესია უცხოეთის წარმომადგენლების თანადასწრებით: მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ესალმებიან ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას, რომელმაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა დასავლეთის იმპერიალიზმზე.

სიმშილობა ცარიცინის გუბერნიაში.

მოსკოვი. 13 ოქტ. ცარიცინიდან მოდის სამწუხარო ცნობები გუბერნიაში სიმშილობის საშიშროების შესახებ. ზამთრისათვის მცხოვრებლების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა გაეწიოს დახმარება.

სათბობის მასალა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე.

მოსკოვი. 12 ოქტ. კიევიდან იტყობიან, რომ სათბობი მასალებით მომარაგების საქმე სამხრეთ-დასავლეთის რკინისგზებზე გამოკეთდა. უზრუნველყოფილია სათბობი მასალით მარაგი. ახლო მომავალში განზრახულია გააფართოვონ მგზავრების მოძრაობა.

პროლეტარულ სტუდენტობის სახლი.

მოსკოვი. 12 ოქტ. ხარკოვში ზეიმით გაიხსნა „პროლეტარულ სტუდენტობის სახლი“.

ოქტომბრის ზეიმისათვის

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე პსკოვში გაიხსნება ტრამვაის მოძრაობა. ძმათა სასაფლაოზე მოხდება ძეგლის გახსნა. ქუჩების და სამრეწველო დაწესებულებების სახელწოდება შეიცვლება.

ერიო

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს მოსკოვიდან პარიზში გაემგზავრა საფრანგეთის დეპუტატი ერიო. უკანასკნელ დროს ერიომ ინახულა ტროცკი, ლუნაჩარსკი, ძერჟინსკი და დაესწრო სადილს ჩიჩერინთან. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ერიომ განაცხადა, რომ მისი მიზანია საფრანგეთის და რუსეთის ხალხის დაახლოვება. ამ მხრივ უახლოესი ნაბიჯი იქნება სავაჭრო ურთიერთობა.

ფეიქართა ყრილობა

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. სრულიად რუსეთის ფეიქართა ყრილობა დასრულდა. ყრილობაზე აღნიშნულ იქნა საფეიქრო ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერობის გადიდება. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია შინაგანი რესურსების შემცირების გამო ნედლეულობის უცხოეთში შეძენა.

ყრილობამ მიმართა მოწოდებით მთელი ქვეყნის ფეიქრებს შეკავშირდენ წითელ პროფინტერნის ირგვლივ.

ანტანტა და გერმანია

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო. 13 ოქტ. საკონტრიბუციო კომისიამ განიხილა ბრეტბერის წინადადება გერმანიის ბანკროტობის ასაცილებლად დაუყონებლივ ზომების მიღების შესახებ. „ფოსიშე ცეიტუნგში“ ბრეტბერი აღნიშნავს, რომ გერმანიას ქონდა მიცემული შეღავათი, რომლის ძალით მას გადასახადი შექონდა ხაზინის ბონებით, და მარკის კურსის დაცემა ამ ჟამად არის შედეგი საბირჟო მახინაციებისა.

ზომები მარკის კურსის დაცემის წინააღმდეგ.

ნაუენი. 13 ოქტ. რათა მარტო დახურდავება გამტკიცებულ იქნას, პრეზიდენტ ებერტმა გამოაქვეყნა დეკრეტი უცხოეთის ვალიუტის დახურდავებაზე სპეკულიაციის წინააღმდეგ. საგარეო ვაჭრობის გადასახად ვალდებულებათა გამოშვება აკრძალულია, გარდა ისეთ შემთხვევებისა როდესაც ნედლეულობის შეძენა ხდება. ვალდებულებათა ნებადაურთველი გამოშვება ჩაითვლება უკანონოდ. ვექსილების გაყიდვა განსაზღვრულია და დაექვემდებარება სპეციალურ დაწესებულების კონტროლს. სასტიკად აკრძალულია უცხო ვალიუტით სპეკულიაცია. დეკრეტის დამრღვევნი სასტიკად დაისჯებიან. მთავრობამ გამოუშვა ბონები ნაღდი ოქროს ვალიუტის მიხედვით. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ეკუთვნის რეიხსტაგს.

პრესა ებერტის დეკრეტის შესახებ.

ბორდო. 13 ოქტ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ებერტის დეკრეტი რეგლამენტაციას უკეთებს ფასიან ქაღალდებით ვაჭრობას. „ლოკალ ანცაიგერის“ აზრით, რომელიც მსხვილი მრეწველებისაგან არის ნაკარნახევი, მარკის კურსის განმტკიცება დამოკიდებულია 9 საათის სამუშაო დღის დაწესებისაგან.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ლიონი. 13 ოქტ. საკონტრიბუციო კომისიის საგანგებო სხდომამ ბარტუს თავმჯდომარეობით განიხილა მდგომარეობა, რომელიც შეიქნა მარკის კურსის დაცემის გამო. ამ საკითხის შესახებ კამათი შემდეგ სხდომაზე იქნება.

სხვა და სხვა ამბები

გერმანია

რატენაუს მკვლელების პროცესი

ჰანოვერი. 13 ოქტ. პროკურორის საბრალმდებლო სიტყვის და თავმჯდომარის დაბეჯითებითი მოთხოვნის შემდეგ ტიშევმა აჩვენა სასამართლოს, რომ ის იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა რატენაუზე თავდასხმაში დახვრეტის შიშით, რომლითაც მას ემუქრებოდენ დანერჩენი თავდამსხმელები.

ინგლისი

განდი სასამართლოს წინაშე.

ლონდონი. ინგლისის გაზეთები გადმოგვცემენ დაწვრილებითი ცნობებს ინდოეთის აჯანყებულთა ცნობილ ბელადის განდის პროცესის შესახებ, რომელსაც, როგორც ვიცით, გადაწყვეტილი ქონდა 6 წლ. დაპატიმრება.

„მე სავსებით ვეთანხმები პროკურორს, სთქვა განდიმ. არ დავმალავ, რომ მე, რაც კი შემძლება მქონდა, მოუწოდებდი ხალხს არსებულ მთავრობის ოპოზიციისაკენ. მიუხედავათ იმ ტკივილისა, რომელსაც ჩემში იწვევს ფიქრი მსხვერპლთა შესახებ, მე არ მინდა თავიდან მოვიხსნა პასუხისმგებლობა იმ არეულობათა გამო, რომელსაც ამ ბოლო დროს ადგილი ქონდა ინდოეთში. მე კარგად უნდა მცოდნოდა რომ ვეთამაშები ცეცხლს. მე წინდა-წინვე ვეთანხმები თქვენს განაჩენს, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ეს განაჩენი უსასტიკესი იქნება და არავითარ შებრალებას ჩემი თავისთვის არ მოვითხოვ. მე დავემორჩილები უსასტიკეს სასჯელს, რომელსაც კანონი მაკუთვნებს იმ საქმისათვის, რომელიც თქვენის აზრით ბოროტმოქმედებათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მე კი ვსთვლი ყოველ პატიოსან მოქალაქის მოვალეობათ. თქვენ, მოქალაქე მოსამართლევ, უნდა გადამიწყვიტოთ მე მძიმე სასჯელი, თუ სთვლით არსებულ კანონებს და ეხლანდელ მთავრობას საუკეთესოდ ხალხისათვის, ანდა თქვენ სამსახურს თავი უნდა გაანებოთ.

მოსამართლემ სთქვა, რომ განდიმ თავისი ჩვენებით შეუმსუბუქა მას საქმე, რადგან თავისი თავი დამნაშავეთ იცნო „მილიონიან მოქალაქეთა თვალში, სთქვა მოსამართლემ, თქვენ, განდი უდიდესი პატრიოტი და მოციქული ხართ. ისინიც კი, ვინც თქვენ პოლიტიკურ რწმენას არ იზიარებს, გთვლიან თქვენ უმაღლეს იდეალისტათ, კეთილ შობილობით და თავგანწირულობით აღსავსეთ. მაგრამ თავისი მოვალეობის თანახმად, კანონისადმი ობიექტიურ დამოკიდებულებით და თქვენი ჩვენების შემდეგ, მე უნდა გცნოთ თქვენ დამნაშავეთ. ინდოეთში ბევრი შეწუხდება იმის გამო, რომ თქვენ ჩააყენეთ მთავრობის ორგანოები იმ გვარ მდგომარეობაში, როდესაც თქვენი თავისუფლების აღკვეთა აუცილებელი ხდება. იმედი მაქვს, რომ თქვენ სამართლიანად ჩასთვლით, თუ მე თქვენს დანაშაულობას გაუთანასწორებ ბალ განდეგარის დანაშაულს, რომელსაც იმავე საქმის გამო გადაწყვეტილი აქვს 6 წლის დაპატიმრება. მაგრამ თუ მდგომარეობის მიხედვით მთავრობა შესაძლებლად ცნობს თქვენს განთავისუფლებას გადაწყვეტილ ვადამდე, იმ შემთხვევაში, ვეჭვობ რომ ამის გამო ვინმე ჩემზე უფრო ბედნიერი იქნეს“.

კროიდონი. 12 ოქტომბერი. ლოიდ ჯორჯი ლონდონიდან მანჩესტერში გაემგზავრა, სადაც წარმოსთქვამს სიტყვას.

ლოიდ ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადება

ბორდო. 13 ოქტომ. გაზ. „დეილი ეკსპრესი“, კონსერვატიულ პარტიის წევრებმა, კაბინეტის წევრებმა, ჩემბერლენმა, ბალფურმა, კერზონმა და ბირკენხედმა მისცეს ხმა ლოიდ ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადებას.

საფრანგეთი

საფრანგეთის სამთამადნო წარმოების მუშათა შორის.

ჰანოვერი, 12 ოქტომბერი. სამთამადნო მრეწველობაში ჩაბმულ მუშების შესაძლებელი გაფიცვა აშორებული იქნა ვინაიდან მწარმოებლებმა უარი სთქვეს ხელფასის შემცირებაზე.

ფაშისტები საფრანგეთში.

ბერლინი. „როტე ფანე“ იუწყება, რომ ფაშისტებმა თავიანთი მოქმედება გადაიტანეს საფრანგეთშიც, სადაც აწყობენ ახალ ორგანიზაციას „მოქალაქეთა კავშირის“ სახელწოდებით. პარიზში დაარსდა იტალიელ ფაშისტების იაჩეიკის ადგილობრივი ორგანიზაცია. ეროვნულ ბლოკის მონარქისტული ფრთა ოპოზიას ემუქრება საფრანგეთში ფაშიზმის ორგანიზაციით. ფაშისტური ტენდენციები მთავრობაში დახმარებას პოულობენ, განსაკუთრებით ოფიცერთა წრეებში.

იტალია

არჩევნები იტალიაში.

ჰანოვერი. 12 ოქტ. ტრიბუნის ცნობით ახალი არჩევნები იტალიაში მოხდება არა უახლოეს გაზაფხულისა.

პოლონეთი

გულუბრყვილო მინისტრი.

ვარშავა. საფრანგეთის ცნობილი ჟურნალისტი ვოშერი „ჟურნალ დე პოლონი“-ში მოთავსებულ წერილში, რომელიც ეხება პოლონეთის ფინანსთა მინისტრთან იასტრჟენსკისთან ინტერვიუს, უწოდებს მინისტრის ყველა მოსაზრებებს პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, სავსებით გულუბრყვილოს.

ზემო-სილეზია

ჰანოვერი. 12 ოქტ. ზემო-სილეზიის პირველი სეიმის სხდომები გაიხსნა 10 ოქტ. პოლონეთის პრემიერის ნოვაკის თანადასწრებით.

რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია

მოსკოვი. 12 ოქტ. ჩინეთის მთავრობამ დაადგინა გახსნას რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია 15 ოქტომბერს. უფრო მნიშვნელოვან საკითხებათ ითვლება: მონგოლიის ევაკუაცია, საკითხი ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის შესახებ და საკითხი სავაჭრო ურთი-ერთობის განახლების შესახებ.

შვეიცარია

თოვლი სენ-გოტარდზე.

კროიდონი. 12 ოქტომბერი. დასავლეთ ევროპაში ტემპერატურის დაწევა აიხსნება სენ-გოტარდზე მოსული დიდი თოვლით.

ამერიკა

„სპილენძის მეფის“ გარდაცვალება

ჰანოვერი. 12 ოქტომბერი. საუდგემპერტონში (ამერიკა) გარდაიცვალა ფინანსისტი გუგენგეიმი, რომელიც ცნობილი იყო „სპილენძის მეფის“ სახელწოდებით.

მაგარი სასმელები ამერიკაში.

ჰანოვერი. 12 ოქტომბერი. შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა გარდინგმა გამოსცა ბრძანება ამერიკულ გემებზე მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე აკრძალულია უცხოეთის გემების მიერ ალკოჰოლის შემოტანა ამერიკაში.

ავსტრია

ავსტრიის კონტროლის დაწესება.

ლიონი. 13 ოქტ. იტყობინებიან, რომ შანცერი შრომის ყოფ. მინისტრს ბენედუჩის ასახელებს საერთაშორისო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

კროითონი. 13 ოქტ. კანცლერმა სეიპელმა გააკეთა მოხსენება ავსტრიის სასარგებლოდ ერთა ლიგის მუშაობის შედეგების შესახებ. სოციალისტების წინადადება უნდობლობის შესახებ, უარყოფილ იქნა.

ბენედუჩის დანიშვნა.

რომი. 13 ოქტ. გაზეთები იტყობინებიან, რომ დეპუტატი ალბერტო ბენედუჩი დანიშნულია იტალიის წარმომადგენლათ ავსტრიის დაწესებულ საკონტროლო კომისიაში, რომელიც შედგენილია ერთა ლიგის დადგენილების თანახმად.

ზაიმისი

ბორდო, 12 ოქტომბერი. ათი დღის შემდეგ ათინაში ჩამოვა ზაიმისი, რომელიც თანახმაა მიიღოს თავმჯდომარის პოსტი საბჭოში.

ათინის მოურავი

ბორდო, 12 ოქტომბერი. პატრიკი, ათინის მოურავად ნამყოფი, ერთხმად არჩეულია ათინის მოურავად.

შორეულ აღმოსავლეთში

საფრანგეთის კრეისერები შორეულ აღმოსავლეთში.

ბორდო. 12 ოქტ. საფრანგეთის კრეისერები „ჟიულ მიშელე“ და „ვიქტორ ჰიუგი“ ბრესტიდან გავიდნენ ადმირალი ჟულის მეთაურობით შორეულ აღმოსავლეთის მიმართულებით.

საბჭოთა საქართველოში

ბათომი.

ჩაქვის პლანტაციებზე. ჩაქვის მამულში ჩაის პლანტაციებს უჭირავს 540 დეს., საიდანაც საშუალოდ ნორმალურ მუშაობის დროს მოჰყავთ 230 დან 270 ათას გირ. დამზადებული ჩაი წლიურად. 1921 წ. მოგროვებულია და დამზადებული 150,000 გირ., რომელიც გაიგზავნა მოსკოვში. გაისიდან მიმდინარე წლის სექტემბრამდე მოგროვებულია პლანტაციებიდან ნედლი ჩაი—840,000 გირ., რომელიც გაიგზავნა ფაბრიკაში. ამ ჟამად ფაბრიკაში მუშაობს 60-დე კაცი. მუდმივად ჩაი წარმოებისათვის, თუ მივათვლით პლანტაციებსაც, დაქირავებულია დახლოვებით 800 დე მოსამსახურე და დღიურად მომუშავე წარმოებისათვის აგრეთვე დაქირავებულია ჩინელები სპეციალისტები, რომლებიც ახარისხებენ ჩაის.

ბათომის სავაჭრო ნავთსადგური. სტატისტიკური ცნობები ბათომის სავაჭრო ნავთსადგურის გამგეობის შესახებ იძლევა მისი მოღვაწეობის შემდეგ სურათს: 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა ბაზრის ჩვეულებრივ მიყუჩებას ზაფხულში. ნავთსადგურში გემების მიმოსვლის შემცირებამ, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო უცხოეთის საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის ოდესის, სევასტოპოლის და ნოვოროსიისკის ნავთსადგურების გახსნით, რამაც გამოიწვია ბირჟას ნერვიულობა და მრავალ მასებში ხმები, რომელიც დალუპვით ემუქრებოდა ბათომის ნავთსადგურს.

ეხლა ცხადია ამ ხმების დაუსაბუთებლობა. უკანასკნელმა თვეებმა ერთხელ კიდევ უდავოდ გახადეს ბათომის წარუშლელი მნიშვნელობა, როგორც უმნიშვნელოვანეს ნავთსადგურის შავ ზღვაზე და სატრანზიტო ცენტრის სპარსეთისათვის.

ივლისის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში შემოვიდა 89 სხვა და სხვა გემები და ბათომიდან გავიდა 96130736 ფ. საერთო ტონაჟით.

პირველი ადგილი უჭირავთ იტალიის გემებს (მოვიდა 10, გავიდა 9 ტონაჟი 13012) მეორე ადგილს იჭერენ ინგლისის ვაჭრები (შემოვიდა 7, გავიდა 7, ტონაჟი 9021) მესამე—საფრანგეთს 13 და 4, ტონაჟი 3292) ამას გარდა მოვიდა თითო გემი: ამერიკის და გოლანდიის და გავიდა: 1 ბოლგარიის და საბერძნეთის ფელუგები და მოტორიანი გემები შემოვიდა 67, გავიდა—73 174 ფ., ტონაჟით, თითქმის ყველა ოსმალეთის ფლაგით, მხოლოდ ოთხი იყო რუსულით. უცხოეთის გემებით შემოზიდულია სხვა და სხვა საქონელი—412562 ფუთი, უმთავრესად შაქარი—145 909 ფ., ფქვილი და მარცვალი—128341 ფ., გატანილია სხვა და სხვა საქონელი—919907 ფ., უმთავრესად ნავთი—858.162 ფ. ხე-ტყის მასალები—7795 ფ., ხალიჩები—4982 ფ., ამ გემებით მოვიდა 116 მგზავრი.

ხიდნალი

ახალგაზრდობის კომკავშირი. აგვისტომდე ახალგაზრდათა კომკავშირში არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. ამას წინად ცეკას სანქციით მოხდა კავშირის გაწმენდა, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. ურთიერთობა კომპარტიასთან მოწესრიგებულია დიდის სიცხოველით, ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, რომელსაც მთელ მაზრაში დაესწრო 7500-დე კაცი. უპარტიო ახალგაზრდობა თანაუგრძნობს ახალგაზრდათა კომკავშირს.

ბორჯომი.

ქიმიკოსების პროფკავშირი. ქიმიკოსების კავშირის ცენტრალური სამმართველოს მდივანის ამხ. ავეკიანის ჩამოსვლისთანავე ბორჯომში მოეწყო კავშირის განყოფილება და არჩეულ იქნა სამმართველო. ამასთანავე ერთად დადებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ნახშირმბადის ქარხანასთან, შუშის ქარხანასთან და მინერალურ წყლების სამმართველოსთან.

ქიმიკოსების პროფკავშირის წევრთა საერთო სხდომაზე მოხდა ხელახალი რეგისტრაცია და საერთო რიცხვიდან რომელიც უდრის 300 კაცს, დათხოვნილია მხოლოდ 2 წევრი.

შორაპანი.

ახალგაზრდობის კომკავშირი. ახალგაზრდობის კომკავშირის გავლენა უპარტიო ახალგაზრდობაზე ძლიერ დიდია. საერთო სწავლება გაცხოველებულად და წარმატებით სწარმოებს. შემჩნეულია უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა ახალგ. კომკავშირისაკენ. არსებობს მჭიდრო კავშირი კომპარტიასთან. მოსამზადებელ ამხანაგის უქონლობის გამო აქამდე მაზრაში არც ერთი მარქსისტული წრე არ მოწყობილა. ჭიათურაში მუშაობს მშრომელ ახალგაზრდობის კლუბი.

პარტიული ცხოვრება

ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის თვიური საინფორმაციო ანგარიში 1922 წ. აგვისტოს განმავლობაში.

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ № 235).

საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

აგვისტოში სამაზრო კომიტეტის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო, როგორც ამას გვიკარნახებდა მე 11-ტე პარტიული ყრილობა, წევრთა კომუნისტურად აღზრდაზე, შიგნით პარტიულ მუშაობაზე. ამიტომ მთავარი გეზი მიმართული იყო კომუჯრედებისაკენ, როგორც ქალაქში ისე მაზრაში. ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ახალი ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ, განსაკუთრებულ მდგომარეობას ქმნიდა ჩვენი პარტიისათვის და მაზრის უმაღლესი პარტიული ორგანოც ვალდებული იყო აქეთ მიეპყრო ყურადღება, რომ პარტიული წევრები არ ჩაეთრია და არ გადაეცდინა საერთო, აქედან გამოწვეულ მდგომარეობას. აგვისტოს 3-მს პარტკომის მიერ დანიშნული იყო უჯრედების რევიზია, თუ რას აკეთებენ უჯრედები, როგორ მიმდინარეობს მუშაობა. ამაში დაინტერესებული იყო საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაც, რადგან საშუალება მოგვეცა თვალი გადაგვევლო წარსულ მუშაობისთვის და, თუ რამე უარყოფითი მხარეები იყო, გამოგვესწორებია. უჯრედების სხდომები სისტემატიურად იმართებოდა კვირაში ერთხელ. ირჩეოდა, როგორც პრაქტიკული ხასიათის საკითხები, ისე თეორეტიული. რადგან მიტინგებმა თავის დრო მოჭამა და ისე აღარ იტაცებს მუშებსა და გლეხებს,—მათ უფრო პრაქტიკული ხასიათის საკითხები აინტერესებთ, გადავწყვიტეთ კომუჯრედების საჯარო კრებების მოწყობა რომელიმე საწარმოვო დაწესებულებაში. ასეთი კრებები მოეწყო აგვისტოს თვის განმავლობაში—5 თუთუნის ქარხანაში, ელექტრონის სადგურში, ხე-ტყის ქარხანაში, სამაზრო პროფბიუროში ადგილობრივ მუშა მოსამსახურეების თანდასწრებით, რკინის გზის დეპოში და სხვა. ასეთი კრებებისათვის დღის წესრიგში დგას საზოგადოთ: საწარმოვო დაწესებულებების მდგომარეობა, მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა. მოხსენებას ამ კითხვებზე აკეთებს საწარმოვო დაწესებულების გამგე, მუშების წარმომადგენელი, რის შემდეგ იმართება კამათი. გამოირკვა, რომ ასეთი კრებებს ძლიერ ეტანებიან მუშები. ეს ძლიერ სწევს ჩვენი პარტიის პრესტიჟს მუშების ფართო მასსაში რადგან მუშები ხედავენ, რომ კომუნისტები თვითონ მიდიან მუშებთან და გებულობენ მათ ამბავს. ასეთი საჯარო კრებები იმართებოდა, რასაკვირველია, რაიონებშიც. კრებების დღის წესრიგში ისმებოდა შემდეგი საკითხები: პარტკონფერენცია, კოოპერაცია და სხვა, აგრეთვე ირჩეოდა კომუნიზმის ანბანი, კეთდებოდა მოხსენება დისციპლინაზე და სხვა. აგვისტოს თვის განმავლობაში გამართულ იქნა ოთხი საერთო კრება მთელი ორგანიზაციის წევრებისა, ახ. კომკავშირთან და ქართულ წითელ ჯარში მომუშავე კომუნისტებთან ერთად დღის წესრიგში იდგა პარტკომის მუშაობა, განათლების განყოფილების მუშაობა, ამიერ-კავკასიის ერთიან ფულის ნიშნის საკითხი და სხვა. მოვახდინეთ ერთხელ გაერთიანებული კრება ქალაქის ორგანიზაციის და რუსულ-ქართულ წითელ ჯარებში მომუშავე კომუნისტების. დღის წესრიგში დასმული იყო მოგონება რევოლიუციონურ წარსულისა და შემდეგ გაიმართა კონცერტი.

გარდა ამისა კომიტეტთან არსებობს მარქსიზმის შესასწავლი წრე, წრეში გავდივართ პოლიტიკურ ეკონომიას, ყოველ თვის დამლევს საგანგებოთ დანიშნული კომისია ახდენს გამოცდებს, თუ როგორ შეთვისეს წევრებმა პოლიტიკური ეკონომია. ახლახან დავიწყეთ მეცადინეობა ისტორიული მატერიალიზმში ბუხარინის წიგნით.

აგვისტოს თვის განმავლობაში ჩატარებულ იქნა კამპანიები ფართო ხასიათის: ერთიანი ფულის ნიშანი, კოოპერაცია და რუსეთის კომპარტიის კონფერენციის შედეგები. აგრეთვე მოწყობილი იქნა სპეციალური დღეები: სამხედრო კურსების, „ოკას“ არსებობის ოთხი წლის თავის, მე-3-მე ქართულ ლეგიონისა და სხვა.

აგვისტოს თვეში ქალთა განყოფილებამ დაარსა ერთი სარეცხავი არტელი, აგრეთვე მიღებულია ზომები საკერავი არტელის დასაარსებლად. უკვე დაარსებული არტელი შეერთებულ იქნა შრომის განყოფილებასთან არსებულ პირველ საშრომო არტელთან, მუშაობა სწარმოებს მასთან ერთად. წარმომადგენელი ქალთა განყოფილებისა შედის პირველ საშრომო არტელის ბიუროში სრულ უფლებიან წევრათ. აგვისტოში მოწვეული იქნა ოთხი კრება: ქალთა განყოფილებას მიღებული აქვს ზომები პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველად ქუჩაში ნახული იქნენ ავადმყოფი ბოვშვები, რომლებიც გაგზავნილ იქნენ საავადმყოფოში. უსახლკარო ქალებს, რომლებიც ამ მოკლე ხანში გამრავლდეს, ქალთა განყოფილება უწევს დახმარებას დამშეულთა ფონდიდან, მდგომარეობის შესაფერ გამორკვევის შემდეგ ადგილობრივ.

მუშაობა წითელ ჯარში არ გვიწარმოებია სხვა და სხვა ჩვენდამი დამოუკიდებელ მიზესების გამო.

საანგარიშო თვეში ჩატარებულ იქნა სარაიონო და სამაზრო კონფერენციები ახ. კომკავშირის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის პარტკომის ხელმძღვანელობით. კონფერენციები ჩატარდა მეტად ნაყოფიერად. მოხდა ამხანაგების გადაჯგუფება რაიონებში. საერთოთ კავშირის მუშაობა დგას სასურველ სიმაღლეზე.

განსაკუთრებული მნიშვნელოვანი რაიმე ტრანსპორტის მდგომარეობაში მიმდინარე თვის განმავლობაში არ მომხდარა. აღსანიშნავია შემდეგი: რკინის გზის უჯრედის გადახალისების შემდეგ მუშაობამ იქ საკმაოდ იმატა. გავლენაც ამხანაგებისა ფართო მასაზე რკინის გზის მუშების და ადმინისტრაციაზე გაიზარდა. ქუთაისის დეპოში ამ უკანასკნელ თვეებში საერთოდ მუშაობამ აიწია საშუალოზედ მეტად. ყოველ თვიური საერთო ნორმა ორთქლმავლებისა, რომელსაც უნდა გაუკეთდეს მიმდინარე შეკეთება, უკანასკნელად აღემატება იმ ნორმას, რომელსაც აკისრებს რკნის გზის სამართველო ქუთაისის დეპოს.

ასეთი შეკეთება ყოველ თვიურად ნორმას აღემატება საშუალო 25. დეპოს სახელოსნო უშვებს მოკლე ვადიან ვაგონებს თვიურად 127. ორთქლმავლები მიმდინარე შეკეთებით გამოდიან თვეში 225.

პროფკავშირების მუშაობა მიმდინარეობს ისე, როგორც ივლისში. მხოლოდ არის მცირეოდენი დამატებითი ცვლილებანი, რაც გამოიხატება შემდეგში: აგვისტოში დადებულ იქნა კოლექტიური ხელშეკრულებები სახალხო ბანკთან, კავშირთა-კავშირთან, საგზო სექციებთან და აფთიაქების გამგეებთან. ორგანიზაციული მუშაობა ქალაქის ფარგლებში დგას სათანადო სიმაღლეზე. პროვინციებში ამ მხრივ სუსტათ არის დაყენებული საქმე თანხის უქონლობის გამო. მომავალ თვეში განზრახულია ხელახალი რეგისტრაციის მოხდენა კავშირების წევრებსა. განკარგულებას და მასალებს ამ საქმისათვის ელიან ცენტრიდან. ტყიბულში მოხდა მაღაროების პროფკავშირის გამგეობის არჩევნები. არჩეულ იქნენ გამგეობაში ყველა კომუნისტები.

10 აგვისტოს შედგა ქუთაისის მაზრაში შემავალი აღმასკომის თავმჯდომარეთა ყრილობა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები, 2) სამაზრო აღმასკომის მოხსენება თავის მუშაობაზე, 3) მოხსენება ადგილებიდან, 4) საშემოდგომო მუშაობის გეგმა (არხების გაყვანა, გზების შეკეთება, სკოლების რემონტი და სხვა), 5) სასამართლოს მოწყობის საკითხი. კონფერენცია დამთავრდა ნაყოფიერად. გამოტანილ იქნა შესაფერი დადგენილებები, რომლის ცხოვრებაში გატარებას ფაქტიურად შეუდგა აღმასკომი და მისი ქვემდებარე ორგანოები. განაწილებულ და გაწერილ იქნა სასურსათო გადასახადები თემებზე მოსავლისდამიხედვით.

პარტიული კონფერენცია

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში გაიხსნა მესამე ლეგალური პარტიულ კონფერენცია, კონფერენციას ქონდა განსაკუთრებით საქმიანი ხასიათი და გამოიტანა მნიშვნელოვანი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. მოხსენებაში სამაზროკომიტეტის მოღვაწეობის შესახებ გამოირკვა მაზრაში მუშაობის ძნელი პირობები. დიდი ენერგიით საჭირო წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასთან საბრძოლველად. ქუთაისის მაზრაში პროლეტარული ელემენტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტყვიბულის მაღაროებს, ძლიერ ცოტაა. აშკარაა, რომ ასეთ პირობებში კომიტეტის მუშაობა მეტად ძნელია. კომიტეტის მუშაობაში მეორე მნიშვნელოვან ხელის შემშლელ პირობათ უნდა ჩაითვალოს ეკონომიური კრიზისი მაზრაში. შარშანდელმა მოუსავლობამ მეტად გააუარესა მაზრის ეკონომიური მდგომარეობა; მუშების და მოსამსახურეების სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელი შეიქნა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო პარტ. აპარ. ორგანიზაციაზე და პარტიის წევრებისათვის კომუნისტური სულის ჩანერგვაზე. 1922 წლის პარტიის გაწმენდამდე ქუთაისის ორგანიზაციაში ითვლებოდა 1055 წევრი და 28 კანდიდატი; გაწმენდის დროს პარტიიდან გამორიცხულ იქნა 297 წევრი. მესამე პარტიული კონფერენციის დროს პარტიაში ითვლებოდა 615 წევრი და 192 კანდიდატი; სოციალური მდგომარეობის მხრივ გლეხი—407, მუშა—286, ინტელიგენტი—28. სულ მაზრაში ითვლებოდა 56 კომიაჩეიკა. კომიტეტის მუშაობა სწარმოებს ყველა ორგანიზაციებთან კონტაქტში. პოლიტიკური განათლება ჯერ გაერთიანებული იყო სახალხო განათლების განყოფილების მოღვაწეობასთან, მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელს ძლიერ ბევრი სამუშაო ქონდა, პოლიტ-განათლებას ის სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. შემდეგ პოლიტიკური განათლება გაერთიანებულ იქნა სამაზრო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან და საქმე უფრო მიზანშეწონილად მოეწყო. 3 თვის განმავლობაში მაზრაში გაიხსნა 20 ბიბლიოთეკა, 5 წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლა. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პოლიტიკური განათლების საქმეს და სცნო რა უკანასკნელი სასწრაფო ამოცანად, მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს მხარი დაუქირონ ამ საქმეს. საგანგებო დანიშნულების ნაწილები მაზრაში თავიდანვე კარგად იყო მოწყობილი.

სწავლა რეგულიარულად მიმდინარეობს. კომუნარები დაყოფილნი არიან გუნდებათ. საორგანიზაციო მუშაობას ძალიან აფერხებს საშუალებათა უქონლობა და საკომანდო ნაწილის ჯამაგირების თავის დროზე არ მიღება. მოხსენებამ კოოპერაციის შესახებ გამოარკვია, რომ უკანასკნელ დრომდე მაზრის კოოპერატივები იმყოფებიან მენშევიკების ხელში. მას შემდეგ რაც კოოპერაციას მიაქციეს სათანადო ყურადღება, მისი მოქმედება საგრძნობლად გაცხოველდა. მაზრის ყველა ცენტრებში—სამტრედიაში, ხონში და სხვაგან მოხდა კოოპერატივების გამგეობათა ახალი არჩევნები და თითქმის ყველგან გავიდნენ კომუნისტები. მაზრაში არსებობს საკოოპერაციო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ მუშაობას. კონფერენციამ დაადგინა მოახდინოს იმ ამხანაგების მობილიზაცია, რომელთაც შეუძლიათ მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ კოოპერაციაში. სასურსათო გადასახადის საკითხის შესახებ კონფერენციამ მიიღო რა მხედველობაში მიმდინარე წლის კარგი მოსავალი, დაადგინა შეკრიბონ სასურსათო გადასახადის 100 პროც.

(შემდეგი იქნება)

სასურსათო გადასახადის კამპანია

კამპანიის მსვლელობა

ტფილისის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით ოქტომბრის 1-დან 7-მდე შეგროვილია: ხორბალი—2.308 ფუთი, ქერი—8 ფუთი, სიმინდი—304 ფ., ლობიო—244 ფ., მხალი—9 ფ., მატყლი—3 ფუთი, და ფულად—605.520.000 მან.

ამ ხნის განმავლობაში წისქვილის გადასახადის სახით შემოვიდა 5 ფუთი მარცვლეული. ამას გარდა წისქვილის წიგნების არა წესიერად წარმოებისათვის დაჯარიმებულ იქნა წისქვილის პატრონი 6 მილიონი მანეთით.

ბორჩალოს მაზრა. კამპანიის დაწყების დღიდან ოქტომბრამდე შემოვიდა წლევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში: ხორბალი—6.203 ფ., ქერი—240 ფუთი და ფულად—700.520.000 მან.

შარშანდელ გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შემოვიდა სექტემბრის განმავლობაში: ხორბალი—816 ფუთი, ქერი—77 ფ., კარტოფილი—78 ფ., ერბო—12 ფ., ყველი—9 ფუთი, მატყლი—26 ფ., ხორცი—42 ფ. და ფულად—152.742.000 მან.

ახალქალაქის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით ოქტომბრის 1-დან 7 მდე წლევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში შემოვიდა: ხორბალი—2.408 ფუთი, ქერი—2.343 ფ., ჭვავი—1.337 ფ., მსხვილფეხა საქონელი—50 ფ., ცხვარი—434 ფ. და ფულად—90.011.000 მან.

ამავ ხნის განმავლობაში შარშანდელ გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შემოვიდა: ხორბალი—48 ფუთი, ქერი—38 ფ., ჭვავი—30 ფ., ცხვარი—5 ფ., ყველი—36 ფ., ვაშლი—16 ფ., კარტოფილი—17 ფ. და ფულად—27.830.000 მან.

პროვინციაში

დახმარება დუშეთის მაზრის დამშეულებს

შარშანდელ მოუსავლობის წყალობით ჩვენს მაზრასაც თავს დაატყდა საშინელი შიმშილი, რის საწინააღმდეგოთ 13 მარტს შედგენილ იქნა მაზრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტმა მიიღო საჩქარო ზომები დამშეულთა დასაკმაყოფილებლათ. კომიტეტი ეცადა პირველ ხანებში შეეგროვებინა შემოწირულება მცხოვრებლებში, რისთვისაც კომიტეტის ინიციატივით შექმნილი იქნა ქ. დუშეთში ვაჭართა მიერ არჩეული კომისია, რომელსაც დაევალა ფართოთ მოეწყო ვაჭართა შორის მაზრის დამშეულთა დასახმარებლათ ნებაყოფლობითი შემოწირულება, მარა ვაჭართა მიერ არჩეულმა კომისიამ ვერავითარი შემოწირულება ვერ შეაგროვა. თვით მაზრაში დამშეულთა სასარგებლოდ ვერ მოგროვდა სურსათ-სანოვაგე. მთელი მაზრა შიმშილ სიკვდილიდან დაიხსნა საბჭოთა მთავრობამ. საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სახით, რომელმაც აღმოუჩინა ჩვენ მაზრას უხვი დახმარება სიმინდით, ჭვავით და სხვა, რაიც მთლათ შეადგენს 6.944 ფ. ეს დახმარება დაურიგდა შემდეგ თემებს: 1. მუხრანისა—504 ფ., 2. მცხეთისა—504 ფ., 3. ახალგორისა—606 ფ., 4. საგურამოს—1000 ფუთი, 5. ჩოპორტის—400 ფ., 6. ბაზალეთის—1,377 ფ., 7. ჟინვალის—423 ფ., 8. ანანურის—193 ფ., 9. ქვემო-მთიულეთის—300 ფ., 10. ზემო-მთიულეთის—100 ფ., 11. კობის—400 ფუთი, 12. ყაზბეგის—360 ფ., 13. ქალაქ დუშეთს—213 ფ., 14. მაზრის სამხედრო კომისარიატს—70 ფ., 15. მაზრის მასწავლებლებს—102 ფ., მთლად მაზრაში დარიგდა 6552 ფ. დანარჩენი 392 ფ. დარჩა დამშეულთა კომიტეტში. ეს სიმინდი და ჭვავი მიღებული იქნა შემდეგის გზით: 1) ფოთიდან 3 ვაგონი, 2) თბილისიდან 2 ვაგონი, 3) ბათომიდან 2000 ფუთი. აი ის დიდი დახმარება, რომელიც გაუწია ჩვენ მაზრას საბჭოთა მთავრობამ და ამით რამოდენიმე ათი ათასი მშრომელი გლეხი გადარჩა შიმშილით სიკვდილს.

ბ. ლაფანაშვილი.

ქრონიკა

◆ **ფასების მოძრაობა მოსკოვში.** როგორც იტყობინება ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება მოსკოვში ფასები აიწია საშუალოდ 8 პროც. ფასების გადიდება, უპირველესად ყოვლისა, შემჩნეულია სასურსათო და საწვრილმანო საქონელზე და უმთავრესად შაქარზე. ერთი კვირის განმავლობაში შაქრის ფასი აიწია 60 პროცენტით. უცხოეთის შაქრის შემოტანის აკრძალვის შემდეგ კი მასზე ფასი ერთი-ორად გაიზარდა. შემდეგ მნიშვნელოვანად მოიმატა ფასმა ტანთსაცმელზე და ფეხსაცმელზე თითქმის 60 პროცენტით. ჩითის ფასი უკანასკნელი კვირის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა, ფეხსაცმელის—კი 19 პროცენტით უკანასკნელ დროს სიძვირე პურის პროდუქტებსაც შეეხო, ჭვავის ფქვილი და პურის გაძვირდა 20 პროცენტით. გაიაფდა მხოლოდ ბოსტნეული (14 პროცენტით) და ცოტათი დაიწია ფასი ხორცის და თევზის პროდუქტებზე.

◆ **იუზა ზარდლიშვილი.** მომავალ ზამთრის სეზონში მიწვეულია ბათუმის სახელმწიფო დასში ზარდალიშვილი, დრო გამოშვებით ქუთაისშიაც მიიღებს მონაწილეობას.

◆ **მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე** ამერიკულ ფქვილის „ნელსონის“ ფასი ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობის თანახმად, მაღალია, დანარჩენ ხარისხის ფქვილის ფასი გაძვირდა, ადგილობრივ ხორბლის ფასი უცვლელია.

ძვირია აგრეთვე სათესლე ხორბალი. ქერის ფასმაც მოიმატა, სიმინდის ფასი ძალიან არ გაზრდილა, მანუფაქტურის ფასებიც უცვლელია, მაგრამ ეჩნევა ფასის დაკლების ტენდენცია ზონების დიდი მოთხოვნილების გამო სარეწავო გადასახადის შესატანად. შაქარი რაფინადის ფასი დაეცა, საპონის ფასი უცვლელია ბაზარზე შემდეგი ფასებია: ფქვილი „ნელსონი“ ფუთი—820—830, დურუ-

საზღვარ-გარეთის ეკონომიური ცხოვრების მიმოხილვა

ნახშირის პრობლემა და რეპარაციების ქაოსი.

„სახელმწიფო მოღვაწენი“, რომელთაც დასდეს ვერსალის ხელშეკრულება, გამოდიოდენ იმ ვარაუდიდან, რომ ომის შემდეგ ძალიან გაიზრდებოდა წარმოება და მსოფლიო ბაზარიც გამოცოცხლდებოდა. კერძოთ, რაც შეეხება საფრანგეთს, ისინი ანგარიშობდენ, რომ ელზას ლოტარინგიის შეერთების შემდეგ მისი ნახშირის მოხმარება გაიზრდება 25—50 მილიონ ტონამდე. ამ მოსაზრებით ისინი, საარის ნახშირის გარდა (8 მილ. ტონა წელიწადში) მოითხოვდენ გერმანიისაგან წლიურად თითქმის 40,8 მილ. ტონა ნახშირის მიწოდებას.

ეს მოლოდინი ოდნავადაც არ გამართლდა. ბაზრის გამოცოცხლების ნაცვლად დადგა არაჩვეულებრივი კრიზისი. 1921 წ. საფრანგეთმა მოიხმარა არა უმეტეს 48,6 მილ. ტონა ნახშირი ე. ი. 20 პროცენტით ნაკლები იმაზე, რაც მას ესაჭიროებოდა ომამდე. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ელზას ლოტარინგია შეერთებული ქონდა საფრანგეთს. ამასთანავე ამ რაოდენობიდან მოხმარების შემცირების გამო 2,3 მილ. ტონა ნახშირი საჭირო შეიქნა გატანილი ყოფილიყო საზღვარ-გარედ. თურმე საფრანგეთს ამ ჟამადაც ბევრი აქვს დარჩენილი ნახშირი. ხოლო ამავე დროს ომის დროს დანგრეული მაღაროები ჯერ კიდევ აღდგენილიც არ არის. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ საფრანგეთი გერმანიას აძლევს საარის ქვანახშირს. 1921 წელში საარის აუზში ამოღებულ 7,68 მილ. ტონა ნახშირიდან მხოლოდ 3,45 მილ. ტონა დასჭირდა საფრანგეთის ბაზარს. რათა მიეზიდათ გერმანელი მყიდველები, ფრანგებს მოუხდათ ფასებიც კი დაეკლოთ: საარის ფუთ ნახშირს საფრანგეთის მთავრობა ყიდდა საიმპერიო გერმანიის რკინის გზებზე 10—15 ფრანკით უფრო იაფად ვიდრე საფრანგეთში. 1922 წ. ივლისში გერმანიაში გაიგზავნა 170.000 ტონა საარის ნახშირი. ეს ნახშირი მიდის აგრეთვე შვეიცარიაში და იტალიაში. ვინაიდან მოხმარება მაინც ვერ ფარავდა ამოღებას, სახელმწიფო მაღაროებს საარის რაიონში ნაბრძანები ქონდა შემცირებით ნახშირის ამოღება.

ამცირებენ ნახშირის ამოღებას არა მარტო საარის რაიონში, არამედ თვით საფრანგ. ტერიტორიაზეც. 1922 წ. აპრილში ამოღების საერთო ციფრი 519 000 ტონით ნაკლები იყო, ვიდრე მარტში (ამ შემცირებიდან საარის ოლქზე მოდის 244.000 ტ.) ამრიგად,—ამბობს ფრანგი ფრანსის დელეზი, რომლის ცნობებსაც ჩვენ ვემყარებით (საფრანგეთის ნახშირის პოლიტიკა და ვერსალის ხელშეკრულება, 7 სექტემბერი 22 წ. გვერდი 423),—**საფრანგეთი არა თუ არ პატიობს ომის დროს დანგრეულ ნახშირის მაღაროების აღდგენას, მას საშუალებაც არ აქვს გამოიყენოს ის ნახშირი, რომელსაც იღებენ განადგურებისაგან გადარჩენილ მაღაროებში“.**

ეს ობიექტიური, ციფრებზე დამყარებული მსჯელობა სინათლეს ჰფენს სარეპარაციო პრობლემის ქაოსს და უაზრობას. ყირამალა აყენებს საფრანგეთის ოფიციოზურ პრესის მტკიცებას „დანგრეულ პროვინციების აღდგენის შესახებ“.

იკითხება, რისთვისღა სჭირდებოდა საფრანგეთს სარეპარაციო ქვანახშირი? განა იმისათვის, რომ გერმანულ იაფფასიან ნახშირის დახმარებით უფრო ძვირად გაეყიდა ფრანგული ნახშირი? ეს ერთი აბსურდთაგანია სარეპარაციო პრობლემაში, რაიც პირველ შეხედვისთანავე ყოვლად შეუძლებელი და გაუგებარი გვეჩვენება, მაგრამ სწორედ ეს აბსურდები დაედვა საფუძვლათ გადრეკილ ომის შემდეგი დროის კაპიტალიზმის მსოფლიო პოლიტიკას.

საქმე შემდეგში მდგომარეობს. იმ თავითვე გერმანიის მთავრობამ თავის მძიმე ინდუსტრიის და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებათა მიხედვით, სცდილობდა შეენახა ნახშირის დაბალი ფასები; ამას კი შედეგად მოჰყვა მარკის კურსის დაცემა. ამ დაბალი ფასების მიხედვით საფრანგეთმა მიიღო გერმანიისაგან დროებითი ზავის ჩამოგდებიდან 1921 წ. 1 მარტამდე 28 7 მილ. ფრანკი (რეპარაციების ანგარიშში). მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ გაჰყიდა ეს ნახშირი 2,623 მილ. ფრანკათ. ის ყიდულობდა ტონა ნახშირს 51,70 ფრანკათ, ხოლო ჰყიდდა 91,20 ფრანკად საშუალოთ. სად წავიდა ეს სარგებელი? მოხმარდა ეგრეთ-წოდებულ „წონასწორობის“ პოლიტიკას, რომელსაც მისწვდენ ნახშირის მრეწველობას და სამთომადნო ქარხნების მეპატრონეთა კომიტეტები; ისინი აძლევდენ ამ ფონდიდან პრემიებს საფრანგეთის ძვირფასიან ნახშირის მომხმარებელ, რათა ეს უკანასკნელნი ჩაეყენებიათ თანასწორ მდგომარეობაში ინგლისის იაფფასიან ნახშირის მომხმარებლებთან (1920 წლიდან, ნახშირის შიმშილობის დროს, პირიქით, პრემიები ეძლეოდათ იმათ, ვინც ყიდულობდა ინგლისის და ამერიკის ძვირფასიან ნახშირს).

სწორედ ამ პრემიების წყალობით, საფრანგეთის ნახშირის მრეწველობამ განადგურებულ დეპარტამენტებში ამოიღო უკვე 1921 წელს ომამდე არსებულ ამოღების 27 პროც., მაშასადამე გადასდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ. საერთოდ საფრანგეთის მთავრობამ გადაიხადა გერმანიის ხარჯზე 2,4 მილიარდი ფრანკი.

სხვანაირათ რომ ვსთქვათ, საფრანგეთი სარეპარაციო ნახშირის დახმარებით აწარმოებდა ინგლისის მიმართ იმავე დემპინგის პოლიტიკას, რომელშიაც ანტანტა ბრალსა სდებდა და სდებს გერმანიას.

დღითი დღე საქმე რთულდებოდა. შედეგად ამას მოჰყვა შემდეგი აბსურდი. ამა წლის ივლისში გერმანიის მთავრობა სთხოვს სარეპერაციო კომისიას ნებართვას შეიძინოს ინგლისში 2,6 მილ. ოქროს მარკის ნახშირი, საფრანგეთისათვის მისაწოდებლად რურის ნახშირის ნაცვლად. საფრანგეთი განიცდის ნახშირის სიუხვეს, გერმანია იმის ნაკლულოვანებას. (ამა წლის მაისში გერმანიამ გამოიტანა ინგლისიდან 700,000 ტონა ნახშირი ივნისში 1.200 000 ტონა, მაშინ როდესაც 1913 წელში მთელმა გერმანიამ მთელი წლის განმავლობაში შემოიტანა მხოლოდ 9 მილიონი ტონა ინგლისის ნახშირი). საფრანგეთს ესაჭიროება გერმანიის ნახშირი იმისათვის, რომ მეტოქეობა გაუწიოს ინგლისს, ხოლო გერმანია აცხადებს, რომ ის შეიძენს ნახშირს საფრანგეთისათვის სწორედ იმავე ინგლისში. ამასთანავე გერმანია ემზადება გადაუხადოს ინგლისს სწორედ ის ოქრო რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს საფრანგეთი და ამით კიდევ უფრო გააუარესა თავისი ვალიუტა.

ინგლისის მთავრობა ტყუილად მოითხოვდა სპაში გამართულ კონფერენციაზე, რათა საფრანგეთს ეძლია რურის ნახშირში ინგლისის ბაზრის ფასები. კანნის კონფერენციაზე ის მოითხოვდა, რათა რურის ნახშირი ჩათვლილიყო საფრანგეთს მისი შინაური ბაზრის ფასებში. როდესაც ბრიანი ის იყო უნდა დასთანხმებოდა ამ მოთხოვნილებაზე, ყოვლად შეძლებულმა „სამთამადნო მექარხნეთა კომიტეტმა“, რომელიც აღშფოთებული იყო ამით, განდევნა იგი პრემიერის თანამდებობიდან.

მაშინ ინგლისი უპასუხებს საფრანგეთის დემპინგზე თავისი დემპინგით. უკანასკნელ ხანებში ის ჰყიდდა თავის ნახშირს საფრანგეთის ნავთსადგურებში 6 შილინგით ნაკლებ, ბრიტანეთის ბაზრების ფასებზე. ინგლისის ნახშირი ხელახლა ავსებს საფრანგეთის ნავთსადგურებს. 1922 წ. პირველ ნახევარში შემოტანილია 6,6 მილ. ტონა, მაშინ როდესაც 1921 წლის განმავლობაში შემოტანილი იყო სულ 5,5 მილ. ტონა.

ამავე დროს ინგრევა საფრანგეთის პოლიტიკის მეორე ქვაკუთხედი. გერმანიის მთავრობა მაღლა სწევს თავის ნახშირის ფასებს. ნაწილობრივ ეს ხდება ნახშირის მეფის სტინესის ზეგავლენით, ნაწილობრივ კი ეს გამოწვეულია თვით ანტანტის მოთხოვნილებით, რომელიც მოითხოვს გერმანიის ფინანსების მოწესრიგებას. ამ უკანასკნელი მიზნით გერმანია ადიდებს თავის რკინის გზის ფასებს და უმატებს გადასახადს ნახშირზე, ამასთან, რაც უფრო დაბლა ეცემა მარკის კურსი, იმდენად უფრო მაღლა იწევს გადასახადი ნახშირზე. ა.წ. აპრილში 2000 მარკა, 1 აგვისტოს 350; გერმანიის ნახშირის ფასები უეცრად გაუთანასწორდა მსოფლიო ბაზრის ფასებს.

ამისდამიხედვით იცვლება „სამთამადნო მექარხნეთა კომიტეტის“ და საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკაც. დემპინგის პოლიტიკის განდგომა გერმანიის იაფ ფასიან ნახშირის საშუალებით, შეუძლებელი გახდა. საჭირო შეიქნა საფრანგეთის ნახშირის წარმოების შემცირება. და მოხდა ის, რასაც შეუძლებლად სთვლიდენ. პუანკარე და ნაციონალური ბლოკი თანხმობას აცხადებენ შემცირების რეპარაციების ციფრი. 1922 წ. თებერვალში საფრანგეთის მთავრობა იძლევა თანხმობას იმაზე, რომ გერმანიის სარეპარაციო ნახშირის მიწოდება შემცირებული ყოფილიყო 2,2 მილ. ტონიდან 1,9 მილ. ტონამდე თვეში; ხოლო ივლისში თანხმდება შემდეგ შემცირებაზე 1,7 მილ. ტონამდე. მართალია ეს შემცირება მოხდა თეორეტიულად, ვინაიდან ფაქტიურად გერმანიას სულ ერთია არასოდეს არ მიუწოდებია 1,6 მილ. ტონაზე მეტი ნახშირი თვეში.

მაგრამ, ამავე დროს საფრანგეთმა მოითხოვა გერმანიის კოქსის მიწოდების გადიდება. კოქსის წარმოება საფრანგეთში ძალიან ცუდათაა დაყენებული, 1921 წელში იგი უდრიდა 744.000 ტონს, ე. ი. იმ რაოდენობის 17 პროც. ს, რაც საჭიროა საფრანგეთის მეტალურგიისათვის და სხვა. საარის ოლქმა მისცა მხოლოდ 177.000 ტონა, საარის ქვანახშირიდან კოქსი ძალიან ცოტა მზადდება. გერმანიამ მიაწოდა საფრანგეთს 1921 წ. განმავლობაში საჭირო კოქსის სამი მეოთხედი,—3 მილ. ტონა გერმანიის კოქსის მიწოდება გაიზარდა ა. წ. თებერვლიდან აპრილამდე 375.000-დან 559.000 დე. თანახმად სარეპარაციო კომისიის ივლისის გადაწყვეტილებისა კოქსის სავალდებულო მიწოდება გადიდებულია 720.000 ტონამდე თვეში.

საფრანგეთის ნახშირის პოლიტიკის ეს უკანასკნელი ეტაპი ნაკარნახევია როგორც საფრანგეთის სამთამადნო მექარხნეთა ინტერესებით ისე მძიმე ინდუსტრიით. მას შემდეგ რაც ფრანგებმა ვეღარ შესძლეს მეტოქეობა გაეწიათ ინგლისის ნახშირისათვის, იაფ-ფასიან სარეპარაციო ნახშირის საშუალებით გერმანიის მიერ ნახშირის მიწოდება მხოლოდ ხელს უწყობს უმუშევრობას და საფრანგეთის მრეწველობაში ნახშირის ამოღების შემცირებას; მეორეს მხრივ მძიმე ინდუსტრიის მაგნატები, რომელთაც ომის შემდეგ შეისყიდეს გერმანელებისაგან მათი სამეტალურგიო ქარხნები ელზას-ლოტარინგიაში, უკიდურესად საჭიროებენ რუსის კოქსს, ურომლისოდაც ამ ქარხნებს მუშაობის სრული შეწყვეტა მოელის. სტინესის ხელშეკრულება მარკიზ ლიუბერზაკთან დამახასიათებელია საფრანგეთის სარეპარაციო პოლიტიკის ახალ ერასათვის: ის იძლევა სტინესის განკარგულებაში მისაწოდებლად საჭირო ნახშირს სარეპარაციო ნახშირის რაოდენობიდან; უკანასკნელი ამ გვარად ხელ ახალ შემცირებას განიცდის. (გარდა ამისა, ინგლისის ნახშირის შემოტანა გერმანიაში უნდა შემცირდეს პოლონეთის, ზემო სილეზიის შემოტანის ანგარიშში).

„რაც შეეხება საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრს და საფრანგეთის პარლამენტს,—ამბობს ფრ. დელეზი,—ისინი იმყოფებიან სრულ უცოდინარობაში საქმის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ, და წარმოდგენილი აქვთ, რომ ლაპარაკია (სარეპარაციო პრობლემის გარშემო) ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის შესახებ, რაც გამოწვეულია განადგურებულ პროვინციებისათვის ავანსების მიცემით.

„რეპარაციები“, განადგურებულ ჩრდილოეთ პროვინციების აღდგენა ეს მხოლოდ ხაზაზია; ამ პროვინციებისათვის გერმანიის ნახშირს ამიერიდან მოაქვს მხოლოდ ზიანი,—რათა დახმარება გაუწიოს საფრანგეთის მექახნეებს, გაუძლვენ ელზას-ლოტარინგიაში გერმანელებისაგან შესყიდულ ქარხნებს. გერმანიის კოქსის გარეშე ამ ქარხნების მუშაობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოაწესრიგებენ. დეე ნება გვებოძონ ჩვენ რეზიუმე გაუკეთოთ ჩვენ ნალაპარაკევს უკრაინის ანდაზით: „Не мала (имела), баба хлопоты, тай купила пароса. (ხვათა შორის ასეთი შედეგები მოჰყვა მსოფლიო ომს არა მარტო საფრანგეთში).

„იზვესტია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ტყავის ქარხანა № 4

ქარხანაში მუშაობს 18 კაცი. მუშები დაქირავებულია დღიურათ. სამუშაო აღებული აქვთ ნარდათ. მუშების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, როგორც ეკონომიურის აგრეთვე სანიტარულის მხრითაც. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე განუწყვეტლივ მუშაობენ და გასამრჯელოს 100 ათას მანეთამდე ძლივსღა ღებულობენ. თუ ასეთი შეუსვენებელი შრომა არ გასწიეს მუშებმა, შიმშილით დაიხოცებიან. მუშაობენ კვირა უქმე დღეებშიდაც. ჯამაგირს უნდა ღებულობდნენ თვეში ორჯერ მაგრამ საშინლად უგვიანებენ ფულის მიცემას. აბანოსათვის აძლევენ თვიურად ათი ათას მან., მაგრამ საბანაოთ ვის ცალია, როდესაც დღიურ ლუკმაზე აქვთ მთელი თავისი ყურადღება მიქცეული. მუშებს არა აქვთ სპეც—ტანისამოსი, რის გამოც საშინელ ჭუჭყიანობაში არიან, მუშათა თითქმის 90 პროც. დაავადმყოფებულია მალარიით. ამ გარემოებას უწყობს ხელს ბინის ანტისანიტარული მდგომარეობაც. მუშების საცხოვრებელ ოთახებში აუტანელი სივიწროვეა. არა აქვთ სავენტილაციო ფანჯრები. იწამლება ადამიანი შეხუთულ ჰაერის გამო.

არ არის დაცული აგრეთვე სისუფთავე. საქონელი და ადამიანი ერთ ჭერ ქვეშ ათენებენ ღამეს. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ასეთი ბინა მალარიის ბუდეთ გადაიქცეს. მალარიას ისე გაუდგამს ფესვები მუშებში, რომ სამი დღის განმავლობაში ასალმებს სიცოცხლეს. სიკვდილის შემთხვევები ხშირია. ავადმყოფობის დროს არ აძლევენ შვებულებას, რომ დაისვენონ და ახალი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას. აგრეთვე ძალიან შნავია, რომ მუშებს არ აძლევენ ნებას ოჯახობის საერთო ბინებზე დაბინავებისას, რის გამოც იძულებულნი არიან ქარხნის მახლობლად დაქირაონ კერძო ბინები საკუთარ ხარჯზე. მუშებს დათხოვნის დროს განსაზღვრული თანხა არ ეძლევათ.

ამ ჟამად სეზონი უკვე თავდება და მუშებს დაითხოვენ ისე, რომ არავითარ ერთდროულ თანხას არ მისცემენ. მუშები გონებრივათ ძლიერ ჩამორჩენილნი არიან.

მოხიარული.

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

ყოფილი მიხეილის საავადმყოფო, დღეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდ წოდებული, მდებარეობს მიხეილის ქუჩაზე. საავადმყოფოში მუშა მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 140. საზოგადოთ საავადმყოფოში და კერძოთ აქ მრავალ მხრივ არის შრომის კანონები დარღვეული. აქ მუშებმა, რომლებსაც სანიტარიის და სისუფთავის დაცვის მნიშვნელობა კარგად უნდა ესმოდეთ, მაგრამ ერთიც და მეორეც ძალიან მოისუსტებს. ასეთი გარემოება ვნებს არა მარტო მოსამსახურეებს, რომლებსაც ანტისანიტარულ პირობებში უხდებათ მუშაობა, არამედ თვით ავადმყოფებსაც. მაგალითად კედლები და ჭერი საავადმყოფოს ოთახებში არ ებულა აფთიაქში, სამზარეულოში, მოსამსახურეების საცხოვრებელ ოთახებში ჭუჭყიანია და ძალზე უსუფთაო. საზეინკლოში ფანჯრებს შუშა არა აქვს. ზამთარი კარზეა მომდგარი და არავინ არ ზრუნავს რომ ამ ფანჯრებს შუშა გაუკეთოს. აგრეთვე საზეინკლო ოთახს იატაკი ქვისა აქვს. სინათლეც ნაკლებია. თუ ექიმებს არა აქვთ ამის შეგნება, შრომის ინსპექტორებს უნდა ქონდეთ შრომის კანონების დაცვა ყველგან სავალდებულო.

კიდევ უფრო ცუდია ამ საავადმყოფოს მრეცხავ ქალთა მდგომარეობა. ისინი მოკლებულნი არიან სპეც ფეხსაცმელს, პირსაბანში არა აქვს საპონი და პირსახოცი, არა აქვს ხალათი. მოსამსახურეები მოკლებულნი არიან გადადუღებულ წყალს. და ყოველივე ეს ხდება იმ დაწესებულებაში, რომელიც ამ მხრივ მაგალითის მიმცემი უნდა იყვეს. ადგილკომი დიდ უმოქმედობას იჩენს, ყოველივე ამ დეფექტებს ყურებს და მის წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებას არ ღებულობს. სასურველია შრომის კანონების ასეთ დარღვევას ვისგანაც ჯერ არს სათანადო ყურადღება მიექცეოდეს.

მ—რე.

ფერმიკური სახელოსნო.

ეს სახელოსნო ეკუთვნის სახალხო კომისარიატს. სახელოსნო იმყოფება მუშტაიდის შესახვევი № 21. აქ მზადდება თიხის ჭურჭლეულობა. მუშაობს სულ 16 კაცი. ყველანი ქიმიკოსთა კავშირის წევრებათ ითვლებიან, მუშებს არა აქვთ სპეც ტანისამოსი. ხალათები. სახელოსნოში არ არის არც პირსაბანი, არც ხელსახოცი და არც საპონი. აქვე არსებობს 5 კაცის საერთო საცხოვრებელი ბინა. ამ ბინაში არაა აგრეთვე გასაწმენდი ვენტილიატორი. ამას წინად სახელოსნო დაათვალიერა შრომის ინსპექტორმა და წინადადება მისცა სახელოსნოს მართველს შენიშნული დეფექტები გაასწოროს.

პ. ნ.

სახელმწიფო წუმწუმის ქარხანა.

ქარხანაში მუშაობს 65 მუშა ხელი, ამ რიცხვში 36 ქალია. სამუშაო დღე განსაზღვრულია ექვსი საათით. შრომის დაცვის კანონები სისრულეში მოყავთ. ქარხანას აქვს ამბულატორია. კვირაში ორჯერ დაიარება ექიმი ავადმყოფთა გასასინჯათ. აქვთ გადადუღებული წყალი. პირსაბანების საკმარისი რიცხვი არა აქვთ, რაც ძლიერ უწყობს ხელს ანტისანიტარულ პირობებს. აგრეთვე კანალიზაციის საქმეც ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. უწყლობა ბადებს სიბინძურეს. უწყლობის გამო არ ირეცხება საპირფარეშოები. წელიწადში ორხელ აძლევენ სპეც ტანისამოსს. დაავადმყოფებულ მუშების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია საავადმყოფოში და ინვალიდებულ მუშებს დიდის გაჭირვებით იღებენ. ქარხანასთან არსებობს უწიგნურთა სალიკვიდაციო სკოლა. პირველი საფეხურის სკოლა წელს გახსნილი აქვთ. ამ ჟამად არსებობს მეორე საფეხურის სკოლა, სადაც სწავლობს 18 მუშა. აქვთ სამკითხველო, იღებენ გაზეთებს, იმართება კრებები. იმართება ლექციები და მოხსენებები შრომის დაცვის და სხვა დარგებიდან. წინათ, როდესაც ქარხანა კერძო პირის ხელში იყო, ხშირი მოვლენა იყო კონფლიქტების ადმინისტრაციასთან, ხოლო როდესაც საბჭოთა ხელში გადავიდა, კონფლიქტები მოისპო. ქარხნის კედელზე მიკრულია ფოსტის ყუთი. ყუთზე გაკრულია განცხადება, რომ შეიძლება პატარ პატარა კორესპონდენციების გაგზავნა მუშათა ცხოვრებიდან რედაქციებისათვის და, მოუწოდებს მუშებს, ამაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

მოხიარული.

ალიოშა ჯაფარიძის საბავშვო სახლი.

ამ საბავშვო სახლში ცხოვრობენ უპატრონო ბავშვები. ბავშვები მოზრდილებიც არიან და პატარებიც. მოზრდილ ბავშვებს ასწავლიან წერა კითხვას, ხოლო პატარა ბავშვები ერთობიან სხვა და სხვა სათამაშოთი. სწავლობენ: ძერწვას, ხელსაქმეს და სხვას. ბავშვების ფანტაზია შეზღუდული არ არის. აკეთებენ იმას, რაც მათ სურთ. ბავშვთა საერთო რიცხვი აღწევს 14. სახლი იმყოფება სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში. ბავშვები კარგ ამინდში დაყავთ სასეირნოთ. სახლში ყავს 19 მუშა მოსამსახურე, ამათში 3 კაცია, დანარჩენი ქალები. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა არ არის სახარბიელო. მათთვის არ არის დაცული 8 საათის სამუშაო დღე, ზედმეტი მუშაობისათვის გასამრჯელოს არ აძლევენ. მაგალითად მრეცხავი და მწმენდავი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდი განუწყვეტლივ მუშაობენ. წინათ სამრეცხაო განყოფილებაში მუშაობდა სამი ქალი, ხოლო დღეს კი შტატების შემცირების გამო ორზე ჩამოიყვანეს, იმ დროს, როდესაც სარეცხების რიცხვი უფრო გაიზარდა. სახლს მოდის გაზეთები, მაგრამ მუშა მოსამსახურენი ვერ სარგებლობენ.

მ—ე.

მი—560—570, აბაზონი—430—460, ადგილობრივი—310—320.

შაქარი რაფინად ფუთი—5000—5100, შაქრის ფხვნილი 950—1000, სახარინი „ლოსფონსი"—3—350, ნარმა ნაჭერი—2700, ჩითი 40—60, შევიოტი ინგლისური არშინი 800—2000, უპრალო 400—600, სატინი 56—200, მადაპოლამი ნაჭერი 2,250. სარეცხი საპონი ტოლლე ფუთი 1150, მარსელის საპონი ფუთი 50 კილო „ბაბალი" 4,200, დანარჩენი ხარისხის 4,000.

პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მაღაზიაში. (რუსთაველის ქ. № 22). მიღებულია მოსკოვიდან ლიტერატურის პირველი პარტია, არის მარქსისტული, პედაგოგიური, საექიმო, მატემატიკური, ხელოვნების ლიტერატურა, ახალი ჟურნალები და სხვა. იმავე მაღაზიაში გახსნილია საკანცელარიო ნივთების ბითუმათ ვაჭრობა.

თბილისის შრომის ბირჟის მოქმედება

უმუშევრობა. ვინაიდან იმ უმუშევართ, რომელნიც გატარებულნი იყვნენ შრომის ბირჟის აღრიცხვაში, ქონდათ მინიჭებული სხვა და სხვა შეღავათები, სექტემბერში აუარებელი უმუშევარი გატარდა რეგისტრაციაში და მიმდინარე წელში მათი რიცხვი უდრის 3696 კაცს. შემდეგი ცხრილი გვიძლევს ჩვენ სრულ წარმოდგენას მუშა ძალის მიწოდება მოთხოვნილებაზე:

	მამაკაცი	ქალ.	ორივე სქესის
აღნუსხულია გამოცხადება	9882	10234	20.116
ხელახლად გატ. რეგისტრ.	2482	1214	3696
მოთხოვნილია სამუშაოზე	1241	326	1567
გაგზავნილია მუშაობაზე	1257	350	1597
მოხსნილია აღრიცხვიდან	24	5	29

ამ რიგად 100 თავისუფალ ადგილზე მოდის 231,5 უმუშევარი; აგვისტოსთან შედარებით მუშა ძალის მიწოდება გაიზარდა 451 კაცით, ივლისთან შედარებით 1356 კაცი. სამუშაოზე გაიგზავნა 42 პროც. სულ აღრიცხვაში პირველ ოქტომბრიდან აღნიშნულია 10. 524 კაცი.

შრომის და ტვირთზიდვის ხარკისაგან განთავისუფლება. უმუშევართ შრომის და ტვირთზიდვის ხარკისაგან განთავისუფლების მოწმობა ეძლეოდათ 25 სექტემბერს, განთავისუფლებულია 2167 მთხოვნელიდან 1389 კაცი.

დაიკარგა. 6 ოქტომბერს საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის მოცემული საწევრო წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულათ. ედ. კედია.

დღეს თეატრებში

კონსერვატორია კონცერტი. პროფ. კავშირთა სახლის დარბაზი—თვით მოქმედების სალამო. სახალხო სახლი—უკრაინელების წარმოდგენა—ატამანი კორშუნი. ცირკი.—მრავალფეროვანი პროგრამა. ქიმერიონი—საზამთრო სეზონის გახსნა, მსახიობ ე. შურატოვის გასტროლი.

მდგომარეობა ბირჟაზე

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 13 ოქტ. ტფილისის სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ცნობა 11 ოქტ. ოქროს ათ მანეთიანი—1.000.000 მანეთი. ოსმალური ლირა—155.000 მ. სტერ.—1.080.000 მ. დოლარი—240.000.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 12 ოქტომბერი. უცხოეთის ვალიუტის საბაზრო კურსი.

	9 ოქტომ.	11 ოქტომ.
გირ. სტერ.	1 035 000	1 025 000
ფრანკი	16 000	17 000
ლირ. იტალ.	10 000	10.000
ოსმალ. ქაღალ. ლირა	156.000	155.000
დოლარი	230 000	226.000
ოქრ. 10 მან.	1 020 000	1.030.000
ოსმ. ოქრ. ლ.	855.000	860.000

რომის ბირჟა.

რომი. 11 ოქტ. პარიზი—177,25; ლონდონი—103,10; შვეიც—438.000; ნიუ იორკი—23,52; ბერლინი—0,91; ესპანეთი — 93,00; პრაგა—80,50; რენტა—71,83; კონს.—81,72.

ბერლინის ბირჟა

ბერლინი. 11 ოქტ. გირ. სტერლინგი—10 936,30, დოლარი — 2 466,91, ჰოლანდიური გულდენი—95,818,00.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 11 ოქტ. პარიზი-58,66; ნიუიორკი $4{,}4^{3}/_{8}$; ბრიუსელი—63,82; ჟენევა—23,67; ამსტერდამი—$11{,}^{3}/_{8}$; მილანი — 103,34; ბერლინი—11 960,00; სტოკჰოლმი—16,6; კოპენჰაგენი—121,8; ქრისტიანია—24,68; ვენა 33,000,000; პრაგა 131,00; გელსინგფორსი 193,00; მადრიდი—29,07.

პარიზის ბირჟა

	12 ოქტ.	13 ოქტ.
ლონდონი	58,68	58 66
ნიუ-იორკი	13,2450	13.24
გერმანია	0,50	0,50
ბელგია	92,00	92,40
ისპანია	201,75	201,75
გოლანდია	515,00	514,50
იტალია	56,50	54,40
შვეიცარია	247,25	242,25
ოსმალეთის მან.	736,00	749,00
ოსმალ. თამბაქო	371,00	371,00

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც უმუშავიათ და მუშაობენ განათლების—ლიტერატურის დარგში (ლიტერატორებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს და სხვებს). წინადადება ეძლევათ სამი დღის განმავლობაში გატარდნენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ სტატისტიკურ განყოფილებაში და შეავსონ ანკეტები.

2—2 საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **რუბენი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი განმეორებით აცნობებს ყველა სტუდენტებს, პარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომ თბილისის სასწავლებლების მოწაფეებს და აგრეთვე პროვინციიდან ჩამოსულებს, რომლებიც არ არიან თბილისის კომიტეტის რეგისტრაციაში, აუცილებლად გატარდნენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ ქვე-განყოფილებაში არა უგვიანეს 2 ოქტომბრისა—ვინც ამ ხნის განმავლობაში არ გატარდება რეგისტრაციაში, მის წინააღმდეგ იქნება მიღებული ზომები.

(2—2) **საორგანიზაციო განყოფილების გამგე: რუბენი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს ამხანაგებს, რომ 14 ოქტომბრიდან დაიწყება მუშაობა სამ საშუალო ტიპის მარქსისტულ წრეში, პოლიტიკური ხელმძღვანელების და ორგანიზატორების მოსამზადებლად. ერთი წრე იქნება ქართულ ენაზე, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. თალაკვაძე და ორი კი რუსულ ენაზე ხელმძღვანელები არიან: ამხ. ნოვიკოვი და ა. ესსენი. ამხანაგებს, რომელთაც სურთ ერთ-ერთ აღნიშნულ წრეში შესვლა უნდა გატარდნენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში—13 ოქტომბრამდე. წრეში შესვლისათვის საჭიროა ცოდნა რაიონულ პარტსკოლის ან პოლიტიკური წრეების ფარგლებში.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ესხენი.

ყველა რაიკომებს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იწყებს საორგანიზაციო წრეების ორგანიზაციას, რომლის მიზანია ორგანიზატორების კადრის და კომპაქტივების მუშაკების მომზადება. წრე ნავარაუდევია 20 კაცისათვის, მეცადინეობა იწარმოებს კვირაობით (ერთხელ კვირაში). რაიკომები ვალდებულნი არიან სასწრაფოდ მოახდინონ იმ ამხანაგების სათანადო რიცხვის მობილიზაცია, რომელთაც იციან ქართული ენა, თანახმად შემდეგი განაწილებისა: 1 რაიონმა—4 ამხანაგი, 2 რაიონმა—4 ამხანაგი, 3 რაიონმა—4 ამხანაგი 4 რაიონმა—2 ამხანაგი ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ—2, კომ. ახალგ. კავშირის ტფილისის კომიტეტმა—2.

ტფილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

საორგანიზაციო განყოფ. გამგე რუბენი.

საქართველოს კომპარტიის ხელახალი რეგისტრაციის, გაწმენდის და შემოწმების ცენტრალური კომისია აცხადებს იმ პასუხისმგებელ მუშაკების და საქ. კომპარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან თბილისში, რომ აუცილებლად საჭიროა მათი დაბრუნება იმ იაჩეიკების გაწმენდაზე, რომელთანაც ისინი მიმაგრებულნი არიან ან აწარმოებენ იქ პარტიულ მუშაობას.

2—1 თავმჯდომარე **გორობჩენკო.**

განცხადებები

12 ოქტომბერს ამა წლის დილის 6 საათზე უდროოთ მიიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

ნინა დავითის ასული სტურუასი

რასაც აუწყებენ მწუხარებით ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ მეუღლე **ისიდორე**, შვილები **მედეა და ნედლი**, დედამთილი ნინო და დედმამა ექიმი დავითი და ოლღა გედევანიშვილები. პანაშვიდი ბინაზე: საპიორის ქ. № 32 საღამოს 6 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება შაბათს 14 ოქტომბერს 4 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. (510—2—2)

მწუხარებაში მყოფი დედა ელისაბედი, შვილი ვალიკო, ქმარი გრიგოლ ცინცაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 11 ოქტომბერს ღამის 12 საათზე, გარდაიცვალა

ზინა ცინცაძისა

გასვენება მოხდება კვირას, 15 ოქტომბერს, სტავროპოლის ქუჩიდან № 16. დღის სამ საათზე.

414—1—1

ქალაქის აღმასკომის

სატატისტიკო საინფორმაციო განყოფილება

აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ორშაბათს, მიმდინარე ოქტომბრის 16-ში

დაიწყება გამოკვლევა

ყველა ქალ. ტფილისში არსებულ დაწესებულებებისა,

ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა განყოფილებათ, რათა აღმოუჩინონ მას ყოველგვარი კანონიერი დახმარება ზემოაღნიშნულ გამოკვლევის შესასრულებლად.

შენიშვნა: გამოკვლევა იქნება შესრულებული აგენტების საშუალებით, რომელთაც იქნებათ მიცემული სათანადო მანდატები.

აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

სასტატისტიკო საინფორმაციო განყ. გამგის მოადგილე **ჯანდიერი.**

მდივანი **ბახილია.** (375 3—1)

ორშაბათს მიმდინარე ოქტომბრის 16-ს საღამოს 6 საათზე

ქალაქის აღმასკომის შენობაში

შესდგება სხდომა

კომუნალურ, საფინანსო და ჯანმრთელობის განყოფილებების სექციებისა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს თავის დროზე გამოცხადდნენ.

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მდივანი: **ხუნდაძე.**

კრ. 375 2—1

მცხეთის მონასტერში

საეკლესიო დღესასწაულის გამო, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო მგზავრების მიმოსვლის გასაადვილებლად 14 ოქტომბრისათვის ნიშნავს 4 დამატებით სამგზავრო მატარებელს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

თბილისიდან გადის	მცხეთაში მიდის
მატ. № 630—დილის 7 ს. 50 წ.	დილის 8 ს. 42 წ.
„ № 632—დილის 10 ს. 15 წ.	დილის 11 ს. 07 წ.
„ № 634—დღის 1 ს. 15 წ.	დღის 2 ს. 07 წ.
„ № 636—დღის 5 ს. 10 წ.	საღამოს 6 ს. 03 წ.

მცხეთიდან გამოდის	თბილისში მოდის
მატ. № 631—დილის 8 ს. 57 წ.	დილის 9 ს. 48 წ.
„ № 633—დილის 11 ს. 37 წ.	დღის 12 ს. 29 წ.
„ № 635—დილის 3 ს. 55 წ.	დღის 4 ს. 49 წ.
„ № 637—დილის 7 ს. 00 წ.	საღამოს 7 ს. 53 წ.

394—1—1

სახელმწიფო ოპერის თეატრი

სეზონის გახსნა

კვირას, 15 ოქტომბერს

„აბესალომ და ეთერი"

მუსიკა ზ. ფალიაშვილისა.

სამშაბათს, 17 ოქტომბერს 1922 წ.

„კ ა რ მ ე ნ ი"

ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს

სევილიელი დალაქი

კასა ღიაა დილის 11—5 საათამდე და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის ვათავებამდე 385—1—1)

დედობისა და ბავშობის და ბავშვთა ჯანმრთელობის დამცველთა ამიერ-კავკასიის პირველი ყრილობა გაიხსნება 15 ოქტომბერს

დილის 10 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე, რუსთაველის პროსპ. № 9, შესავალი ბარიატინის ქუჩ.). ქალ ტფილისის ექიმებს და პედაგოგებს შეუძლიათ დაესწრონ ყრილობას და სექციების ყველა სხდომებს სტუმრების სახით

(465 1—1) **ცენტრ. საორგანიზაციო ბიურო.**

სახელმწიფო ცხენების მოშენება

კვირას 15 ოქტომბერს დიდუბის ჰიპოდრომზე

გამართება

ჯირითი

დასაწყისი დღის 1 საათზე.

დანიშნულია ტრამვაის სპეციალური ვაგონები.

ტოტალიზატორი ბუფეტი

(კრ. 393—2—1)

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილება

ამით აცნობებს მოქალაქეებს, რომ ჯირითის დღეებში დილის 11 საათიდან ჯირითის გათავებამდე.

დაინიშნება ავტომობილები

ერევნის მოედნიდან იპოდრომამდე მგზავრების გადასაყვანად. ავტომობილები შეჩერდება ვერის დაღმართზე და კიროჩნი ქუჩის და მიხაილოვის პროსპექტის კუთხეში. ფასი თვითეულ მგზავრისათვის—30,000 მან.

ცენტრალურ სატრანსპორტო საზოგადოების საექსპლოატაციო განყოფილება

კრ. 387 3—3

ქ. თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს 17 ოქტომბერს დილით 12 საათზე დანიშნულია ქ. აღმასკომის შენობაში

საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფილისის სასწორების მდებარე მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში, პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საჯარო მაგიდის გამგესთან, დარახველიძესთან.

კრ. 375- (4—2).

შინ. საქ. სახ. კომ. გამოცემა

დაიბეჭდა და იყიდება

საგნობრივი სარჩევი

(Предметный указатель)

ფასი 100 ათასი მანეთი.

1921 წ. „მოამბეში" მოთავსებული საქ. რევკომის და სახ. კომისრების ყველა დეკრეტისა, დადგენილებისა, ბრძანებისა, დებულებისა, ცირკულარისა და სხ.

შეძენა შეიძლება

შ. ს. ს. კ. ჟურ. „მოამბის" რედაქციაში

ევანგულოვის ქუ. № 1.

იქვე იყიდება კომისარიატის სხვა გამოცემანიც:

1) ადგილობრივ გადასახადთა დებულება, 2) სტენოგრაფ. ანგარიში საქ. მაზრის რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა ყრილობისა, 3) სამხრეთ ოსეთის რუკა, 4) აჭარისტანის რუკა და სხ.

მზადდება დასაბეჭდად:

1) საქართველოს რუკა, 2) საგნობრივი სარჩევი 1922 წ. კრ. 390 5—2

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ ზედამხედველობის წესით საჩივრების განსახილველად, რომლებიც შეეხებიან ადგილობრივ გადასახადების ინსტრუქციების და დეკრეტების დარღვევას, და აგრეთვე ადგილობრივ კომუნალურ გადასახადების კომისიების მოქმედების შესათანხმებლად, დაარსდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებასთან, თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა № 37, 10 ივლისიდან, ცენტრალური სათათბირო.

გადამხდელებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ადგილობრივ საგადასახადო კომისიების დადგენილებით გადასახადის განაწილების შესახებ, შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი ცენტრალურ საგადასახადო სათათბიროში, რომელიც მოთავსებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, ადგილობრივ საგადასახადო კომისიების საშუალებით. (კრ. 388—3—2)

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლესი მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა, [illegible] ქ. № 4.